

წმ. მღვდელმთავარი ეგნატე
(ბრიანჩანინოვი)

მონაზვნობისათვის


(მართლმადიდებელი ქრისტიანების – მონაზვნისა
და ერისკაცის საუბარი)

გამომცემლობა ხარება
თბილისი
2006

დაიბეჭდა
ბათუმისა და სხალთის
მთავარეპისკოპოს ღიმიტრის (შიოლაშვილი)
ლოცვა-კურთხევით

თარგმნა რუსუდან ბუაჩიძემ

გარეკანზე: წმ. იოანე სინელის (კიბის აღმწერელის) სენაკი
სინას უდაბნოში.

	სსაგპრდ	სრ
	30.06.06	№105

მონაზვნობისათვის

(მართლმადიდებელი ქრისტიანების — მონაზვნისა
და ერისკაცის საუბარი)

ერისკაცი: მამაო! ბედნიერად ვგრძნობ თავს, რომ თქვენი სახით გავიცანი ადამიანი, რომელსაც შემიძლია გული გადავუშალო და მისგან გულწრფელი პასუხი მივიღო. გულით და სულით მსურს ვეკუთვნოდე წმიდა მართლმადიდებელ ეკლესიას, მივდიო მის დოგმატურ და ზნეობრივ გარდამოცემას. სწორედ ამისათვის ვცდილობ ამ გარდამოცემის ყველა დეტალზე მკაფიო აზრი მქონდეს. არასწორ აზრს არასწორ ქმედებამდე მივყავართ, არასწორი ქმედება კი კერძო და საზოგადო უბედურების წყაროა. გთხოვთ, ნუ მეტყვიან უარს და განმიმარტეთ მონაზვნობის მნიშვნელობა ქრისტეს ეკლესიაში.

მონაზონი: ღმერთმა აკურთხოს თქვენი სურვილი. სწორი და ზუსტი აზრისაგან იშვება ყოველგვარი სიკეთე, არასწორისა და არაზუსტისაგან კი — ყოველი უბედურება. ეს აზრი სახარებაშია გამოთქმული. იგი ჭეშმარიტებას გვიდებს ცხონების დასაბამად, ტყუილს კი — წარწყმედის დასაბამად (ინ. 8, 32-44). რამ ჩავაგონათ დღევანდელი საუბრის საგნად მონაზვნობის არჩევა?

ერისკაცი: იმ საზოგადოებაში, რომელშიც მე ვტრიალებ, ხშირად საუბრობენ მონაზვნობაზე, თან სხვადასხვა თანამედროვე თეორიებიც მოჰყავთ მის შესახებ. ჩემი ნაცნობები, რაკი იციან, რომ ხშირი ურთიერთობა მაქვს სასულიერო პირებთან, თითქმის ყოველთვის მე მთხოვენ აზრის გამოთ-

ქმას ამ საკითხზე. მინდა ზუსტი ცნობები მივაწოდო მოყვასს, ამიტომაც გთხოვთ მითხრათ, რა არის სწორი.

მონაზონი: არ ვიცი, რამდენად შეეძლებ თქვენი თხოვნის შესრულებას, მაგრამ მსურს გულწრფელი ვიყო თქვენს წინაშე, ანუ გადმოგცეთ წმიდა წერილისა და წმიდა მამათა ნაწერების კითხვიდან, პატივსაცემ და სანდო მონაზვნებთან საუბრებიდან, დაბოლოს, საკუთარი დაკვირვებებითა და გამოცდილებიდან მიღებული ცოდნა. ჩვენი საუბრის საფუძვლად, ერთგვარ ქვაკუთხედად კი ამას დავდებ: მონაზვნობა არის არა კაცის, არამედ ღმერთის დადგენილი.

ერისკაცი: წარმოიდგინეთ, ჩვენს საზოგადოებაში არასოდეს გამიგია აზრი, რომ მონაზვნობა ღმერთის დადგენილია.

მონაზონი: ეგეც ვიცი. ამიტომაც, რომ როგორც კი მაღალ საზოგადოებაში მონაზვნობაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, ერთი ამბობს, მე ასე მგონიაო, მეორე — მე კიდევ ასეო; ერთი წამოიძახებს, მე ასე მოვიქცეოდიო, მეორე კიდევ სხვას უპასუხებს. ათას ურთიერთსაპირისპირო ვარაუდსა და მოსაზრებას გაიგონებთ: მათ ავტორებს წარმოდგენაც არა აქვთ მონაზვნობაზე, მაგრამ მზად არიან წესდებებიც კი შეუდგინონ მონაზვნებს და სამონასტრო ცხოვრება საკუთარი „ყოველადბრძნული“ წარმოდგენის მიხედვით განაგონ. ზოგიერთი პროტესტანტებისა და უღმერთოების მიერ გამოთქმულ გლობის სიტყვებსაც კი იმეორებს. გული ტკივილით შეგეკუთმება აღამიანს ამგვარი აზრებისა და შეძახილების გაგონებაზე: მათში ხომ უმცრება თავისი ჩლიქებით თელავს საღმრთო გარდამოცემისა და განწესების ძვირფას მარგალიტებს!

ერისკაცი: სწორედ ასეა! და ამის მიზეზი, როგორც თქვე-
ნა თქვით, უმეცრებაა.

მონაზონი: ნუ გეგონებათ, თითქოს უმეცრება უმნიშვნე-
ლო ბოროტება იყოს. წმიდა მამები უმეცრებას უწოდებენ
დიდ, საწყის ბოროტებას, რომლისაგანაც იშვება ბოროტე-
ბა უკვე მთელი თავისი სავსებით. წმიდა მარკოზ მოღვაწე ამ-
ბობს, რომ უმეცრება არის ბოროტების პირველი, მთავარი
გოლიათი. სხვა მამამ კი თქვა, რომ უმეცრებამ არ უწყის თა-
ვისი უმეცრება, იგი კმაყოფილია საკუთარი ცოდნით (წმიდა
პეტრე დამასკელი). უმეცრებას მრავალი ბოროტების ჩადე-
ნა შეუძლია, ისე რომ ვერც კი ხვდება, რას სჩადის. ამას მა-
ლაპარაკებს თანაგრძნობა კაცთა მიმართ, რომელთაც არ
უწყიან, რაში მდგომარეობს ადამიანის ღირსება; თანაგ-
რძნობა იმ ქრისტიანთა მიმართ, რომელთაც არ იციან, რა
არის ქრისტიანობა და ამ არცოდნის გამო საკუთარი თავის
წინააღმდეგ მოქმედებენ. არ გეგონოთ, რომ საღმრთო განწყე-
სებაში კაცობრივი სისუსტეებისა და კაცობრივი ბოროტ-
მოქმედებების შენიღბვა მსურდეს. არა და არა! საღმრთო
განგებულებაში კაცობრივი სისუსტეებისა და კაცობრივი
ბოროტმოქმედებების მხილება და მოსპობა არის ამ განწყე-
სების მიმართ მოწიწების ნიშანი, ღმერთისგან კაცთათვის
ბოძებული განწყესების წმინდად შენახვის საშუალება.

ერისკაცი: ეს უკანასკნელი აზრიც ახალია ჩემთვის. ამ
კუთხით არასოდეს შემიხედავს მონაზვნობისთვის და არც
ვინმესგან მსმენია რაიმე ამდაგვარი.

მონაზონი: ჩემი სიტყვები მხოლოდ მონაზვნობას კი არა,
მთელ ეკლესიას ეხება — როგორც ძველი, ისევე ახალი აღ-

თქმის ეკლესიებს. ძველი აღთქმის ეკლესია ღმერთმა დააარსა და გადასცა თავის მუშაკებს — იუდეველ ერს, და ეს უფალმა თქვა თავის იგავში სავენახის შესახებ, მათეს სახარების 21-ე თავში. ახალი ეკლესია ღმერთკაცმა დააარსა და გადასცა იგი სხვა ერს, ანუ ყველა ერისაგან შემდგარ ერს — ქრისტიანებს, ესეც კარგად ჩანს სახარებიდან და მთელი წმიდა წერილიდან (ეფეს. 1,22-23; 2, 10-11 და ა. შ.). იუდეველები ღმრთის წინაშე პასუხისმგებელნი იყვნენ საღმრთო ნიჭის შენახვის, მართვისა და განგებისათვის. ვინაიდან მათი ქცევა დანაშაულებრივი გამოდგა, ისინი განაყენეს ამ საქმისაგან — თუმცა განაყენეს მაშინ, როდესაც იუდეველნი უკვე საკუთარი ნებით იყვნენ განყენებულნი — და დაისაჯნენ. ასევე მოეკითხებათ პასუხი ქრისტიანებსაც: როგორ გამოიყენეს ღმრთივდადგინებული ახალი აღთქმის ეკლესია ზოგადად და მისი ცალკეული განწესებანი, მაგალითად, მონაზვნობა.

ერისკაცი: ჩანს თუ არა წმიდა წერილში, რით დასრულდება ახალი აღთქმის ეკლესიის დანიშნულება დედამიწაზე?

მონაზონი: წმიდა წერილი მოწმობს, რომ ქრისტიანები, იუდეველთა მსგავსად, თანდათან გაგრილდებიან ღმრთივგამოცხადებული სწავლების მიმართ; უყურადღებოდ დატოვებენ კაცის ბუნების განახლებას ღმერთკაცის მიერ, დაივიწყებენ საუკუნო ცხოვრებას და მთელ ყურადღებას მხოლოდ ამა სოფელს დაუთმობენ. ამ განწყობითა და ამ მიმართულებით შეუდგებიან ისინი წარმავალი ცხოვრების, როგორც მარადიულის, შენებას, და საკუთარი დაცემული ბუნების შერყვნილი და დაზიანებული მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

ცხადია, ასეთი მიმართულებისათვის უცხოა მაცხოვარი, რომელმაც ადამიანი ნეტარი მარადიულობისათვის გამოიყვანა, ასეთი მიმართულებისათვის დამახასიათებელია ქრისტიანობისაგან განდგომილება; განდგომილება კი, წმიდა წერილის მოწმობით, აუცილებლად მოვა (2 თეს. 2,3). ქრისტიანობის დაუძღურებაში მონაზვნობაც მიიღებს მონაწილეობას: შეუძლებელია არ დაზიანდეს სხეულის ასო, როდესაც მთელი სხეული მძიმე სენით იტანჯება. ესეც იწინასწარმეტყველეს წმიდა მამებმა მათში დამკვიდრებული სული წმიდის კარნახით.

ერისკაცი: რა მნიშვნელობა აქვს მონაზვნობას ქრისტეს ეკლესიაში?

მონაზონი: მონაზვნები არიან ქრისტიანები, რომლებმაც შეძლებისდაგვარად ყველა ამსოფლიური საქმე მიატოვეს, რათა ღოცვა, ეს უმაღლესი სათნოება მოეპოვებინათ და მისი მეშვეობით ღმერთთან ერთობისათვის მიეღწიათ, მოციქულის სიტყვის თანახმად: „რომელი შეეყოს უფალსა, ერთ სულ არს უფლისა თანა“ (1 კორ. 6, 17). ხოლო რადგანაც ღოცვა თავის ძალას ყველა სხვა სათნოებისაგან და ქრისტეს მთელი სწავლებისაგან იძენს, მონაზვნები განსაკუთრებული გულმოდგინებით ასრულებენ სახარების მცნებებს. ყველა ქრისტიანისათვის აუცილებელ მცნებებს ისინი ორი რჩევის – უპოვარებისა და უქორწინებლობის შესრულებას უმატებენ. მონაზვნები თავიანთი ცხოვრებით ცდილობენ მიემსგავსონ ქრისტეს ამსოფლიურ ცხოვრებას, ამიტომაც ეწოდებათ წმიდა მონაზვნებს ღირსნი (რუს. პრეპოდობნი).

ერისკაცი: საიდან მიიღეს მონაზვნებმა თავიანთი სახელწოდება?

მონაზონი: სიტყვები მონაზონი, მონასტერი, მონაზვნობა წარმოსდგა ბერძნული სიტყვისაგან „მონოს“ – ერთი. მონაზონი ნიშნავს ცალკე, განმარტოებით მცხოვრებს, მონასტერი – განცალკევებულ, სოფლისგან გამოყოფილ საცხოვრებელს; მონაზვნობა – განმარტოებულ ცხოვრებას. ეს ცხოვრება განსხვავდება ჩვეულებრივი, საზოგადო ცხოვრებისაგან ანუ სხვა ცხოვრებაა, ამიტომაც ეწოდება რუსულად „ინოჩესტვო“, მონაზონს კი – „ინოკ“. სიტყვები: ზოგადცხოვრება, სკიტე, მღუმარება, განშორება, დაყუდება, მეუღაბნობა ამ მონაზვნური ცხოვრების სხვადასხვა სახეს აღნიშნავენ. ზოგადსაცხოვრებელი მონასტერი ეწოდება მონაზონთა მეტ-ნაკლებად მრავალრიცხოვან სამყოფელს, სადაც მონაზვნებს საერთო ღმრთისმსახურება, საერთო ტრაპეზი, საერთო შესამოსელი აქვთ და ერთი წინამძღვრის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან. მღუმარება ეწოდება ორი ან სამი მონაზვნის ერთად ცხოვრებას ცალკე სენაკში, როდესაც ეს მონაზვნები ხელმძღვანელობენ ერთმანეთის ან ვინმე უფროსის რჩევით; კვირის ხუთ დღეს ისინი საკუთარ სენაკში ასრულებენ ღმრთისმსახურებას, შაბათ-კვირას კი ეკლესიაში ესწრებიან საზოგადო ღმრთისმსახურებას. განშორებას უწოდებენ მონაზვნის განმარტოებულ ცხოვრებას. როდესაც განშორებული მონასტერში ცხოვრობს, მაგრამ გამოუსვლელად რჩება თავის სენაკში, მას უკვე დაყუდებულს ეძახიან, მის ცხოვრებას კი – დაყუდებას; ხოლო როდესაც

იგი უკაცრიელ უდაბნოში ცხოვრობს, მას მეუდაბნოეს უწოდებენ, ცხოვრების წესს კი – მეუდაბნოებას.

ერისკაცია: როდის დაიწყო მონაზვნობა?

მონაზონი: ღირსი კასიანეს ცნობით, მოციქულთა დროიდან. ღირსმა კასიანემ, მეოთხე საუკუნის მოღვაწემ, მონახულა ეგვიპტის სავანეები, სადაც მაშინ მონაზვნური ცხოვრება ყვაოდა, საკმაოდ დრო გაატარა ეგვიპტის სკიტეს მონაზონთა შორის და მომავალ თაობებს გადასცა მათი სამონასტრო წესდებები და სწავლანი. იგი ამბობს, რომ ქრისტიანობის პირველ ხანებში მონაზვნები ეწოდათ წმიდა მარკოზ მოციქულის, ალექსანდრიის პირველი ეპისკოპოსის რჩეულ მოწაფეებს. ისინი ყველაზე შორეულ გარეუბნებში განმარტოვდნენ და იქ მოღვაწეობდნენ მახარებლის მიერ დატოვებული წესების მიხედვით. ღირსმოწამე ეგვენიას ცხოვრებაში აღწერილია, რომ რომის იმპერატორ კომოდუსის დროს (კომოდუსი გამეფდა ქრისტესშობიდან 180 წელს) ეგვიპტის მმართველი გახდა რომაელი დიდებული ფილიპე. იმ დროს ალექსანდრიის გარეუბანში იყო მონასტერი; ასევე იხსენიება, რომ იმჟამინდელი ეპისკოპოსი ელია სიყრმითგან მონაზონი იყო. მოციქულთა თანამედროვე იუდეველი ისტორიკოსი ფილონი, ალექსანდრიის მოქალაქე, ზუსტად ისევე აღწერს ალექსანდრიის გარეუბნებში მოსახლე თერაპევტების ცხოვრებას, როგორც ღირსი კასიანე – პირველი ალექსანდრიელი მონაზვნებისას, და მათ სავანეებს მონასტრებს უწოდებს. ფილონის აღწერილობიდან არ ჩანს, იყვნენ თუ არა თერაპევტები ქრისტიანები, მაგრამ ფილონის, როგორც საერო ისტორიკოსის, ცნობები ზედაპირულია; თანაც იმ

დროს ბევრი ქრისტიანობას იუდეველობისგან ვერც არჩევდა — პირველი მეორის სექტად მიაჩნდათ. წმიდა ანტონი დიდის ცხოვრებაში, რომელიც მისმა თანამედროვემ, წმიდა ათანასე ალექსანდრიელმა აღწერა, ნათქვამია, რომ როდესაც წმიდა ანტონი მონაზვნად შედგა (მაშინ ის 20 წლისა იყო), ეგვიპტელი მონაზვნები განმარტოებით ცხოვრობდნენ ალექსანდრიის შემოგარენში. ღირსი ანტონი დიდი 356 წელს, 105 წლისა აღესრულა. არსებობს იმის დამადასტურებელი ფაქტებიც, რომ სირიაში მონაზვნობა მოციქულთა დროიდან მოდის. ღირსმოწამე ევლოკია, რომელიც სირიის ქალაქ ჰელიოპოლისში ცხოვრობდა რომის იმპერატორ ტრაიანეს დროს, ქრისტეს სჯულზე მოაქცია ღირსმა გერმანემ, მამათა მონასტრის წინამძღვარმა — ამ მონასტერში 70 მონაზონი მოღვაწეობდა. ქრისტიანობის მიღების შემდეგ ევლოკია დედათა მონასტერში წავიდა, სადაც 30 მონაზონი იყო. ტრაიანე ქრისტესშობიდან 96 წელს გამეფდა. მესამე საუკუნის ბოლო წლებში ღირსმა ანტონი დიდმა საფუძველი ჩაუყარა მეუღაბნოებას; მეოთხე საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოს პახომი დიდმა დააარსა ტაბენისის ზოგადსაცხოვრებლები თებეს უდაბნოში, ღირსმა მაკარი დიდმა კი — მდუმარეთა სავანე ალექსანდრიის მახლობლად, სკიტეს უდაბნოში, რის გამოც მონაზონთა ცხოვრების ასეთ წესს სკიტური ეწოდა, ამ წესის მიხედვით მოწყობილ სახლობებს კი — სკიტეები. წმიდა ბასილი დიდმა, კაბადოკიის კესარიის მთავარეპისკოპოსმა, მეოთხე საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწემ, მონასტრული ცხოვრება ეგვიპტელი მონაზვნებისგან შეისწავლა; კაბადოკიაში დაბრუნებულმა კი, ვიდრე

ეკლესიის მსახურებას შეუდგებოდა, იქ განაგრძო მონაზვნური ცხოვრება და დაწერა წეს-განგება მონასტრებისთვის. მათი ნაწილი აღმოსავლეთის ეკლესიამ სახელმძღვანელოდ დაადგინა, ნაწილი კი სამოძღვროდ. ამგვარად, მონაზვნობამ, აქამდე ქალაქებისა და სოფლების გარეუბნებში მიმალულმა, მეოთხე საუკუნიდან ძირითადად დაუსახლებელ უდაბნოებში გადაინაცვლა. იქ, თავის ჩვეულ გარემოში, იგი განვითარდა და გაძლიერდა, თუმცა მონასტრები რჩებოდა ქალაქებშიც და მათ გარეუბნებშიც. ღირსი კასიანე, წმიდა მარკოზ მოციქულის მიერ მონაზვნობის დაფუძნების ამბის გადმომცემელი, ამ საკითხის უფრო დაწვრილებით ცოდნის მსურველებს ურჩევს, ეკლესიის ისტორიას მიმართონ. მაგრამ ამ ისტორიას ჩვენამდე არ მოუღწევია, ისევე როგორც თითქმის არც ერთ ეგვიპტურ წერილობით ძეგლს: მაჰმადიანებმა ისინი VII საუკუნეში გაანადგურეს — მუსლიმები ასე იქცეოდნენ ყველა მათ მიერ დაპყრობილ ქრისტიანულ ქვეყანაში, თუმცა ეს განსაკუთრებით ეგვიპტეს შეეხო.

ერისკაცი: რა მიზეზი ჰქონდა მონაზონთა გადასახლებას შორეულ ადგილებში?

მონაზონი: ეს გადასახლება იმ დროს მოხდა, როდესაც მოწამეობა შეწყდა და ქრისტიანობას იღებდნენ არა მარტო რჩეულნი, არა ღმრთის განსაკუთრებული განგებით მოწოდებულნი, არა უდიდესი ღვინისა და სიკვდილისათვის გამზადებულნი, არამედ ყველა: ქრისტიანობა გახდა გაბატონებული სარწმუნოება, მას სახელმწიფო მფარველობდა და ავრცელებდა. ქრისტიანობა საყოველთაო რელიგიად იქცა,

მაგრამ დაკარგა ძველი თავგანწირულობა. ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრები ქრისტიანები ყოფით საზრუნავში ჩაეფლნენ; ისინი ისეთ ფუფუნებას, ხორციელ ტკბობას, სანახაობებში მონაწილეობას და სხვა საერო საქმეებს მიეცნენ, რასაც პირველი ქრისტიანები ქრისტესაგან განდგომის დარად გაურბოდნენ. უდაბნო ბუნებრივი თავშესაფარი იყო იმ ქრისტიანებისთვის, რომლებსაც სურდათ შეენარჩუნებინათ და აღეზარდათ საკუთარ თავში ჭეშმარიტი ქრისტიანობა. წმიდა ისააკ ასური ამბობს: „უდაბნო სასარგებლოა როგორც უძღურთათვის, ისევე ძლიერთათვის. სოფლისაგან მოშორების გზით სუსტებს იგი ვნებების გაძლიერებისა და გამრავლებისაგან იცავს, ძლიერებს კი ბოროტი სულების წინააღმდეგობის ძალას აძლევს“. წმიდა ბასილი დიდი და წმიდა დიმიტრი როსტოველი ასე ხსნიან წმიდა გორდიასის უდაბნოში წასვლის მიზეზს: „გორდიასი გაექცა ქალაქის ჭორებს, ბაზრის ხმაურს, თავადთა დიდებას, შემასმენელთა ცილისწამებას, ყიდვა-გაყიდვას, ფიცილს, ტყუილს, ბილწ-სიტყვაობას, გაექცა ქალაქში გამეფებულ თამაშებს, მასხარაობას, ჯამბაზობას; რადგანაც თვითონ მას ჰქონდა განწმენდილი სმენა, განწმენდილი თვალი და, პირველ ყოვლისა, გული განწმენდილი, ღმერთის ხილვის შემძლე; ამიტომ ღირსი გახდა საღმრთო გამოცხადებებისა და დიდ საიდუმლოებებს ეზიარა — არა კაცთაგან, არამედ ჭეშმარიტების დიდი მოძღვრის, სული წმიდისგან“ (წმინდანთა ცხოვრებანი, 3 იანვარი). მონაზვნობას, უდაბნოში გადასახლებასთან ერთად, განსაკუთრებული შესამოსელიც გაუჩნდა, რათა საბოლოოდ გამიჯვნოდა ერისკაცებს. დევნის პერიოდში სა-

სულიერო პირებსაც და მონაზვნებსაც ძირითადად ერთნაირი შესამოსელი ეცვათ: იგი მათ მღევნელთაგან იცავდა.

ერისკაცი: მაღალი სწავლება, რომლის ღირსიც წმიდა გორდიასი გახდა, ცოტა ვინმესათვის თუ არის მისაწვდომი. ჩვენს დროში ქრისტიანული სარწმუნოება დაწვრილებით ისწავლება სემინარიებში, ხოლო უფრო ზედმიწევნით – სასულიერო აკადემიებში.

მონაზონი: იმ სწავლებებს შორის, რაც სასულიერო სასწავლებლებში ისწავლება და რაც ისწავლება ან, წესით, უნდა ისწავლებოდეს მონასტრებში, უზარმაზარი განსხვავებაა, თუმცა ორივეს საფუძველი ერთია – ქრისტიანობა. როდესაც მაცხოვარმა წმიდა მოციქულები ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მიავლინა საქადაგებლად, დაავალა ესწავლებინათ ყველა ერისთვის ჭეშმარიტი ღმერთის სარწმუნოება და მისი მცნებების მიხედვით ცხოვრება: „წარვედით და მოიდმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაათა და ძისაათა და სულისა წმიდისაათა, და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ“ (მათ. 28, 19-20). სარწმუნოების სწავლება წინ უნდა უძღოდეს ნათლისღებას, ცხოვრების სწავლება კი უნდა მოსდევდეს მას. პირველი სწავლება თეორიულია, მეორე – პრაქტიკული. პირველის შესახებ წმიდა პავლე მოციქული ამბობს: „ვითარ-იგი არარაჲ დავაყენე უძჯობესი თქუენი, რომელიმცა არა ვითხარ და გასწავე თქუენ ერსა წინაშე და სახლსა შინა. და უწამებდ ჰურიათა და წარმართთა ღმრთისა მიმართ სინანულსა და სარწმუნობასა უფლისა მიმართ ჩუენისა იესუ ქრისტესა“ (საქმე, 20, 20-21); ხოლო მეორე-

ზე თქვა: „რომელ არს ქრისტე თქვენ შორის, სასობაჲ იგი დიდებისაჲ, რომელსა-ესე ჩუენ ვქადაგებთ, ვასწავებთ ყოველსა კაცსა ყოვლითა სიბრძნითა, რაჲთა წარვუდგინოთ ყოველი კაცი სრული ქრისტე იესუმს მიერ“ (კოლას. 1, 27-28). ღმერთმა მოგვცა ორი სწავლება მის შესახებ: სწავლება სიტყვით, რომელიც სარწმუნოებით მიიღება; და სწავლება საქმით, რომელიც სახარების მცნებების შესრულებით მიიღება. პირველი შეგვიძლია შევადაროთ შენობის საძირკველს, მეორე კი თვით შენობას, ამ საძირკველზე აგებულს. როგორც რაიმეს აგებაა შეუძლებელი ფუნდამენტის გარეშე, ასევე გამოუდგარია ცარიელი საძირკველი, თუ მასზე შენობა არ აიგება. „სარწმუნოება თვინიერ საქმეთასა მკუდარ არს“ (იაკ. 2, 26).

წმიდა პავლე მოციქული სარწმუნოების სწავლების აუცილებლობას ასე გადმოგვცემს: „აწ უკუე სარწმუნოებაჲ სამე სმენისაგან არს, ხოლო სმენაჲ სიტყვითა ღმრთისაჲთა... ვითარ უკუე ჰხადონ, რომლისა მიმართ არა ჰრწმენა?“ (რომ. 10, 17, 14). აი, კატეხიზმოს სწავლების დასაწყისი. ქრისტიანობას შედგომილებს მოციქულები და მათი მოწაფეები გადასცემდნენ ქრისტიანობის ძირითად მოძღვრებას ღმერთზე, ღმერთკაცზე, ადამიანზე, მის დანიშნულებაზე დროსა და მარადისობაში, ქრისტიანულ საიდუმლოებებზე, საუკუნო ნეტარებაზე, საუკუნო ტანჯვაზე და სხვა, დოგმატური ქრისტიანული სწავლების ძირითად შემადგენელ ნაწილებზე; ამას ემატებოდა თეორიული სწავლება სახარებისეული მცნებების მიხედვით. ესაა მართლმადიდებლური დოგმატური ღმრთისმეტყველების, ამ ამაღლებული, წმინდა მეცნიე-

რების დასაწყისი. უკვე მოციქულთა დროიდან ქრისტეს ეკლესიაში გაჩნდა მწვალებლური სწავლებები, ანუ საღმრთო გამოცხადების შესახებ ამა სოფლის ცრუ სიბრძნის მიხედვით მსჯელობა. საღმრთო გამოცხადებაში ადგილი არა აქვს კაცობრივ მსჯელობას – იქ ყველაფერი, ალფადან ომეგამდე, ღმერთისგანაა. წმიდა მსოფლიო ეკლესია გულმოდგინედ ცდილობდა მისდამი მინდობილი სულიერი საგანძურის – საღმრთო გამოცხადების – დაცვას. იგი ამხილებდა აშკარა მტრებს: კერპთაყვანისმცემლებს, წარმართ ფილოსოფოსებსა და იუდეველებს; იგერიებდა მათ თავდასხმებს; ეკლესია ამხილებდა თავის შინამტრებს – მწვალებლებს, უარყოფდა მათ სწავლებებს, განაგებდა საკუთარი წიაღიდან, აფრთხილებდა თავის შვილებს მათ შესახებ; ამიტომ დროთა განმავლობაში ღმრთისმეტყველება სულ უფრო ფართოდ ვრცელდებოდა. მის გასაცნობად საჭირო გახდა სასწავლებლების შექმნა. უძველესი და უდიდესი აკადემია ალექსანდრიაში იყო. ყველაზე მეტად იგი ქრისტესშობიდან II-III საუკუნეებში ყვაოდა. საღმრთო სწავლების საწინააღმდეგო სწავლებები თანდათან მრავლდებოდა და სხვადასხვა ფორმას იღებდა, ამიტომ სასულიერო სასწავლებლების არსებობა სულ უფრო აუცილებელი ხდებოდა. დასავლეთმა, გაემიჯნა რა აღმოსავლეთს მწვალებლობის მიღებით, წარმართული განსწავლულობა და ცხოვრების წესიც მიიღო: ამ დროიდან მოყოლებული მართლმადიდებელი ეკლესიისადმი მტრულად განწყობილი, ყველაზე კადნიერი, მახინჯი, ღმრთისმგმობი სწავლებები უსასრულოდ მომრავლდნენ. სასულიერო სასწავლებლები მართლმადიდებელი ეკლესიი-

სათვის ისევე აუცილებელი გახდა, როგორც სუნთქვა – სიცოცხლისათვის. თავად განსაჯეთ: მართლმადიდებელმა ქრისტიანმა, განსაკუთრებით კი მომავალმა მოძღვარმა, კარგად უნდა იცოდეს მართლმადიდებელი ეკლესიის ჭეშმარიტი სწავლებაც, მისი ბრძოლის ისტორიაც ხილულსა თუ უხილავ მტრებთან, ბრძოლისა, რომელიც თვრამეტი საუკუნეა, რაც გრძელდება და თანდათან უფრო მძაფრდება. უნდა აღიწეროს არიოზის, მაკედონიოსის, ნესტორის, ეგვიპტის, ხატმებრძოლობის, პაპიზმის, პროტესტანტიზმისა და მისი განშტოებების მწვალებლობები, მათი დაგვირგვინება – ათეიზმი და ახალი ფილოსოფია; აგრეთვე ამ სწავლებათა სრული უარყოფა. ღმრთისმეტყველების სწრაფად შესწავლა შესაძლებელი იყო ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, დღეს კი ამისთვის საკმაო ხანია საჭირო. თუ ადრე მისი სწავლება ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგებების დროს შეიძლებოდა, დღეს აუცილებელია მრავალწლიანი, სისტემატური მეცადინეობა. ღმრთისმეტყველების სრულფასოვანი სწავლება გახლავთ სწორედ ჩვენი სასულიერო სემინარიებისა და აკადემიების მიზანი: ისინი იძლევიან ძირითად, როგორც მარკოზ მოღვაწე უწოდებს, შესავალ ცოდნას. ეს ცოდნა გადაეცემა ახალგაზრდობას, რომელსაც ჯერ არ დაუწყია საზოგადო მსახურება და მხოლოდ თეორიულად არის მისთვის მომზადებული, მისთვის უცხოა ცხოვრებისეული გამოცდილებით მიღებული ცოდნა. სარწმუნოების შესახებ თეორიული ცოდნის საფუძველზე უნდა აშენდეს ქმედითი, ცოცხალი, მაღლისმიერი ცოდნა. მიწიერი ცხოვრება ადამიანს სწორედ ამ ცოდნის მოსაპოვებლად მიეცა. ქრისტიანი,

რომელიც ამ სოფელში სახარების მცნებების მიხედვით ცხოვრობს, უსათუოდ გამდიდრდება არა მარტო გამოცდილებით მიღებული, არამედ, გარკვეულწილად, მაღლისმიერი ცოდნითაც. გაცილებით უფრო მეტად გამდიდრდება ამ ცოდნით ის, ვინც დაუტევებს ყველა მსოფლიო ზრუნვას და მთელ დროს, სულისა და ხორცის ყველა ძალას ღმრთის წინაშე სათნო-ყოფისათვის გამოიყენებს – ასეთი ადამიანია სწორედ მონაზონი; მასზე ამბობს მაცხოვარი სახარებაში: „რომელსა აქუნდენ“ უფლის მცნებები, რადგან მთელი მისი ქონება მხოლოდ უფლის მცნებებია. „რომელსა აქუნდენ მცნებანი ჩემნი და დაიმარხნეს ივინი, იგი არს, რომელსა უყუარდე მე. ხოლო რომელსა უყუარდე მე, საყუარელ იყოს მამისა ჩემისა მიერ, და მეცა შევიყუარო იგი და გამოუცხადო მას თავი ჩემი“ (ინ. 14,21). ამიტომ მოშურნე ქრისტიანები ყოველ დროში სასწავლებლის დასრულების შემდეგ იმ განათლების მისაღებად, მხოლოდ მონაზვნობა რომ იძლევა, არჩევდნენ და ღღესაც არჩევენ მონაზვნობას. ვინ იყვნენ ეკლესიის უდიდესი მოძღვრები? მონაზვნები. ვინ განმარტა დაწვრილებით ეკლესიის სწავლება, ვინ დაიცვა მისი გარდამოცემა თაობებისთვის, ვინ ამხილა და დათრგუნა მწვალებლობანი? მონაზვნებმა. ვინ დაამოწმა საკუთარი სისხლით სარწმუნოების მართლმადიდებლური აღმსარებლობა? მონაზვნებმა. და ეს ბუნებრივიცაა. შუაგულ სოფელში მცხოვრები, სოფლის ქსელში გახლართული ქრისტიანები, ათასგვარ, ნებსითსა თუ უნებლიე საზრუნავში რომ ჩაფლულან, ვერ ახერხებენ დიდი დრო, მთელი სიყვარული ღმრთის დაუთმონ. „უქორწინებელი იგი ზრუნავს უფლისა-

სა, ვითარ-ძი სათნო-ეყოს უფალსა; ხოლო ქორწინებული ზრუნავს სოფლისასა“ (1 კორ. 7, 32-33): დაქორწინებულს არ შეუძლია მუდამ და მთელი არსებით უფალს იყოს შედგომილი ლოცვით, გაემიჯნოს ყოველივე მსოფლიოს და იყოს „ერთ სულ უფლისა თანა“ (1 კორ. 6, 17), რაც შეუძლია და თვისობრივია მონაზვნისათვის. ქრისტიანის პიროვნული წარმატებისათვის არ არის საჭირო განსწავლულობა, ესოდენ აუცილებელი ეკლესიის მოძღვრებისათვის: მრავალმა უწიგნურმა ქრისტიანმა, მათ შორის ღირსმა ანტონი დიდმა მონაზვნად შედგომის შემდეგ ქრისტიანულ სრულყოფას მიაღწია და სულიერი ნათელი მოჰფინა თანამედროვეებს თავისი პირადი მაგალითით, ზეპირი სწავლებით, მაღლისმიერი ნიჭებით. „ვინ სადა მათგანმან ქმნა სასწაულნი, ვინ ალაღვინა მკვდარნი, ვინ განსდევნა ეშმაკნი? არავინ. რამეთუ ესე ყოველნი მონაზონთა საქმენი არიან, რომელთა სოფელი ვერ დაიტევს“, ამბობს წმიდა იოანე კიბისალმწერელი (2,18).

ერისკაცი: ყველა მონაზონი ხომ ვერ აღწევს ასეთ მაღალ მღვდმარეობას, ყველა ხომ ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას! ამას მცირედნი თუ ახერხებენ.

მონაზონი: მონაზვნური წესდების მიხედვით მცხოვრები მონაზვნები, უფლის აღთქმისაებრ, აუცილებლად მოიხვეჭენ ღმრთის მადლს. უფლის აღთქმა შეუძლებელია არ აღსრულდეს თვით ღმრთის სიტყვისა და სახარების მცნებების იმ თვისების გამო, რომლითაც მათ აღმასრულებლებს სული წმიდის მადლი მიენიჭება. და პირიქით, მონაზვნობის ღმრთივდადგინებული წესების უარყოფელი, თვითნებური, გაფანტული ცხოვრების, ტკობისა და სოფლის სიყვარუ-

ლით შეპყრობილი მონაზვნები კარგავენ სულიერ წარმატებას. იგივე ეხება ყველა ქრისტიანს. ქრისტიანულად მცხოვრები ქრისტიანები ცხოვდებიან, ხოლო ისინი, რომლებსაც ქრისტიანის სახელი ჰქვიათ, მაგრამ წარმართებით ცხოვრობენ, წარწყმდებიან. უწინ მონაზვნებს შორის ბევრად მეტი წმინდანი იყო, ქრისტიანებს შორის კი ბევრად მეტი აღწევდა ცხოვებას, ვიდრე დღეს. ამის მიზეზი სარწმუნოებისა და ზნეობრივი ცხოვრების საზოგადო დაცემაა. თუმცა დღესაც არიან ჭეშმარიტი მონაზვნებიც და ჭეშმარიტი ქრისტიანებიც. გიმეორებთ: არიან თავიანთი სახელისა და მოწოდების უღირსი მონაზვნები, მაგრამ ეს ღმრთივდადგინებული წესების ბოროტად გამოყენების შედეგია. ღმრთივდადგინებული წესები კი ღმრთივდადგინებულ წესებად რჩება, რაც არ უნდა ბოროტად იყენებდეს მათ კაცი. ასევე არც ქრისტიანობას აკლდება თავისი უდიდესი ღირსება იმის გამო, რომ ზოგიერთი ან თუნდაც მრავალი ქრისტიანი ქრისტეს სწავლების საწინააღმდეგოდ ცხოვრობს. ქრისტიანობაზეც და მონაზვნობაზეც ჭეშმარიტი ქრისტიანებისა და მონაზვნების მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ. ეს არ არის იოლი: ღმრთისმოსაობა და სათნოება, ქალწულების მსგავსად, ყოველთვის სენაკისა და უცხოობის ჩრდილში იმალება და პირიქით: მეძავნი ცდილობენ ნახევრად შიშველნი წარსდგნენ ყველას წინაშე; მონაზვნის მაღალი ცხოვრება კი ზოგჯერ მხოლოდ სიკვდილის წინ ან მის შემდეგ მჟღავნდება. ხშირად ღმრთის მაღლით ცნებულ მონაზონს ეს სოფელი ცილისწამებითა და ყვედრებით ავსებს, რადგანაც სოფელს სძულს სული ღმრთისა (ინ. 15, 18-20). თვით სულიერი წარმატება სხვა-

დასხვა ხარისხისა არსებობს: მონასტრული განმარტოება, როგორც ვთქვით, ძლიერი ქრისტიანებისთვის ერთი მიზეზით არის სასარგებლო, სუსტებისათვის კი — სხვა მიზეზით. ცხადია, სუსტები ყოველთვის უფრო მეტნი იყვნენ, ვიდრე ძლიერები.

ერისკაცი: თქვენი ნათქვამის შემდეგ აუცილებელი ხდება იმის განმარტება და დამტკიცება, რომ მონაზვნობა ღმერთის განწესებულია. თუმცა, აქამდე რაც თქვით, მნიშვნელოვანწილად სწორედ ამგვარი დასკვნის საფუძველს იძლევა.

მონაზონი: სოფლის მაცხოვარმა მიგვითითა ცხოვრების ორი გზა მორწმუნეთათვის: ცხონების მომნიჭებელი გზა ანუ ცხოვრება და სრულყოფილების მომნიჭებელი გზა ანუ ცხოვრება. ამ უკანასკნელს უფალმა უწოდა შედგომა ღმერთისა, რამეთუ იგი არის ყველაზე ზუსტი ასახვა უფლისაგან გადმოცემული სწავლებისა და ჩვენი ძალების შესაბამისი მიბაძვა ცხოვრების იმ წესისა, რომელიც უფალმა აირჩია მიწიერი მყოფობის ჟამს. ცხონების პირობებია: ქრისტეს რწმენა (ინ. 3, 36), ქრისტეს მცნებებით ცხოვრება (მათ. 19, 17) და მცნებების შესრულების ნაკლულევანების სინანულით კურნება (ლკ. 13, 3, 5). მაშასადამე, ცხონება მინიჭებულია და იგი შესაძლებელია ყველასათვის, ვისი საქმიანობა და სოფელში ცხოვრების წესი საღმრთო სჯულს არ ეწინააღმდეგება. უფლის შედგომისაკენ ზოგიერთებს — მაგალითად, მოციქულებს — თვით უფალმა მოუწოდა, მაგრამ საზოგადოდ ამგვარ შედგომას უფალი კაცის თავისუფალ ნებას ანდობს. ეს კარგად ჩანს სახარების ყველა ადგილიდან, სადაც უფალი ამ საკითხზე ლაპარაკობს: „რომელსა ჰნებაავს შემოდგო-

მად ჩემდა“ (მათ. 16, 24); „უკუეთუ გნებაგს, რაათა სრულ იყო“ (მათ. 19, 21); „რომელი მოვალს ჩემდა“ (ლკ. 14, 26), ამბობს უფალი, როდესაც ქრისტეს შედგომასა და ქრისტიანულ სრულყოფილებაზე საუბრობს. ამგვარი ცხოვრების დაწყება ადამიანის თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული, მაგრამ ცხოვრების პირობები კი ღმერთმა დააწესა, და ამ პირობების შესრულების გარეშე უფლის შედგომა შეუძლებელია. უფლის შედგომის, ანუ სრულყოფილებისაკენ სავალი გზა და ცხოვრების პირობები ღმერთმა ასე აღწერა: „რომელსა ჰნებაგს შემოდგომად ჩემდა, უარ-ყავნ თავი თვისი და აღიღენ ჯუარი თვისი და შემომიღეგინ მე“ (მათ. 16, 24); „უკუეთუ გნებაგს, რაათა სრულ იყო, წარკედ და განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა და მოვედ და შემომიღეგ მე“ (მათ. 19, 21); „აღიღე ჯუარი“ (მრკ. 10, 21); „რომელი მოვალს ჩემდა და არა მოიძულოს მამა თვისი და ცოლი და შვილნი და ძმანი და დანი და კუალად სულიცა თვისი, ვერ ხელ-ეწიფების მოწაფე-ყოფად ჩემდა... და რომელმან არა აღილოს ჯუარი თვისი და შემომიღეგს მე, ვერ ხელ-ეწიფების მოწაფე-ყოფად ჩემდა... და ეგრეცა ყოველმანვე თქუნებანმან, რომელმან არა იჯმნეს ყოვლისაგან მონაგებისა თვისისა, ვერ ხელ-ეწიფების მოწაფე-ყოფად ჩემდა“ (ლკ. 14, 26). აქ ჩამოთვლილია სწორედ ის პირობები, რომელთაგანაც შედგება მონაზვნობის ძირითადი აღთქმები. მონაზვნობა, როგორც ვთქვით, თავიდან სხვა არაფერი იყო, თუ არა განმარტოებული, ამა სოფლის შფოტს განრიდებული ცხოვრება ქრისტიანული სრულყოფილების მოსურნე ქრისტიანებისა. წმიდა მარკოზ

მოციქულის ქადაგების შემდეგ მდიდარი და ხალხმრავალი ალექსანდრიიდან ქრისტიანები ქალაქის გარეუბნებში გადასახლდნენ; ამავსე ურჩევს წმიდა პავლე მოციქული ღმერთთან მიახლების მსურველ ყველა ქრისტიანს: „*რამეთუ თქვენ ტაძარნი ღმრთისა ცხოველისანი ხართ, ვითარცა თქუა ღმერთმან: დავიმკვიდრო და ვიქცეოდი მათ შორის და ვიყო მე მათდა ღმერთ და იგინი იყვნენ ჩემდა ერად. ამისთვის გამოვედით შორის მათსა და გამოეშორენით, იტყვის უფალი, და არაწმიდასა ნუ შეეხებით, და მე შეგიწყნარნე თქვენ. და ვიყო მე თქუენდა მამა და თქვენ იყვნეთ ჩემდა ძეგ და ასულებ, იტყვის უფალი ყოვლისა მპყრობელი“ (2 კორ 6, 16-18). წმიდა იოანე კიბისაღმწერელი მიიჩნევს, რომ უფლის ეს სიტყვები სწორედ მონაზვნებს უკავშირდება; და ისინი პირველი საუკუნეების ეკლესიას ისე ესმოდა, როგორც აქ არის განმარტებული. წმიდა ათანასე დიდი ღირსი ანტონი დიდის ცხოვრებაში გადმოგვცემს, რომ ანტონი ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო, როდესაც ეკლესიაში შევიდა სალოცავად. ამ დროს იქ იკითხებოდა სახარება მდიდარი ჭაბუკის შესახებ, რომელიც უფალს ცხონებასა და სრულყოფილებაზე ეკითხება. როდესაც გაისმა: „*უკუეთუ გნებავს, რაჟთა სრულ იყო, წარვედ და განყიდე მონაგები შენი*“... და ა.შ., ანტონი, რომელიც სწორედ ცხოვრების წესის არჩევანის წინაშე იდგა, განსაკუთრებით შეძრა ამ სიტყვებმა — მიხვდა, რომ თვით უფალმა მიმართა მას, მყისვე გაყიდა თავისი მამული და მონაზონი გახდა. უფლის ამ სიტყვებს წმიდა ეკლესია დღესაც უმთავრესად მიიჩნევს მონაზვნობისთვის და ისინი ყოველთვის იკითხება მონაზვნად კურთხევისას. მო-*

ნაზვნობის დამკვიდრება დასახლებული ადგილებიდან მოშორებით, უდაბნოებში, ღმრთის გამოცხადებით და მისი ბრძანებით მოხდა. ღირს ანტონი დიდს ღმერთმა უდაბნოში ცხოვრებისაკენ მოუწოდა, ღირს მაკარი დიდს ანგელოზმა სკიტეს უდაბნოში წასვლა უბრძანა, ასევე ანგელოზმა უბრძანა ღირს პახომი დიდს უდაბნოში ზოგადსაცხოვრებლის დაარსება და გადასცა წერილობითი წესები მონაზვნური ცხოვრებისათვის. ეს წმიდა მამები იყვნენ სული წმიდით შემოსილი მამები, მუდმივად ღმერთთან ერთობაში მყოფნი, მონაზვნებისათვის ისინი იყვნენ ხმა ღმრთისა, ისევე როგორც მოსე – ისრაიელთათვის. სული წმიდა მუდამ, ქრისტიანობის ყველა საუკუნეში, ასხივოსნებდა მონაზვნებს. სული წმიდის სწავლება, ქრისტეს სწავლება, ღმერთის სწავლება მონაზვნობაზე, რომელიც არის მეცნიერება მეცნიერებათა, ღმრთაებრივი მეცნიერება, წმიდა მამებმა უდიდესი სიზუსტითა და სისრულით გადმოგვცეს თავიანთ თხზულებებში. ყველა ისინი მოწმობენ, რომ მონაზვნობის, ამ ზებუნებრივი ცხოვრების დაწესება არის არა ადამიანის, არამედ ღმერთის საქმე. იგი, როგორც ზებუნებრივი საქმე, შეუძლებელია კაცის ხელიდან იყოს გამოსული, შეუძლებელია ღმერთის დაწესებული არ იყოს.

ერისკაცი: ზოგიერთი ფიქრობს, რომ მონაზვნობის საწყისი მიზეზი იყო ქრისტიანობის პირველ სამ საუკუნეში წარმართების მიერ ქრისტიანების წინააღმდეგ აღძრული დევნა.

მონაზონი: ამსოფლიური ბრძნობა სულიერ მოღვაწეებზე ყოველთვის ცდებოდა. სულიერ ადამიანებს, მაგალითად,

ქრისტიანობის პირველი საუკუნეების მონაზვნებს, სწყურო-
დათ მოწამეობა და ბევრი მათგანი კიდევაც შეიმოსა მოწამე-
ობის გვირგვინით. ასეთები იყვნენ ღირსმოწამე მამები ნიკო-
ნი, ივლიანი; ღირსმოწამე დედები ევლოკია, ევგენია, ფებ-
რონია და სხვანი. როდესაც კაბადოკიის კესარიაში ქრის-
ტიანთა დევნა დაიწყო, ზემოთ ნახსენები წმიდა მეუღაბნოე
გორდიასი ამ ქალაქში ჩავიდა სახალხო ზეიმის დროს, ამხი-
ლა კერპთაყვანისმცემლობის ცთომილება, აღიარა ქრისტე
და თავისი აღმსარებლობა მოწამებრივი სიკვდილით დაა-
მოწმა. იმპერატორ დიოკლეტიანეს მიერ ქრისტიანთა
მძვინვარე დევნის დაწყებისას ანტონი დიდი უკვე მონაზონი
და მეუღაბნოე ბერი იყო. როდესაც გაიგო, რომ ქრისტიანებს
აწამებენ და სიკვდილით სჯიან ქრისტეს აღმსარებლობი-
სათვის, ანტონიმ მიატოვა თავისი უღაბნო და გამოქვაბული,
აღექსანდრიაში ჩავიდა, ქრისტე აღიარა და საქმით დაამ-
ტკიცა, რომ ქრისტესათვის წამება სურდა. მისი ცხოვრების
აღმწერელი გადმოგვცემს: „ღირსი მამა ჭეშმარიტად მოწა-
მე იყო თავისი ნებითა და სიყვარულით ღმრთისადმი. მას,
მართალია, სურდა ქრისტეს სახელისათვის წამება, მაგრამ
უფალს მისთვის მოწამეობა არ განუწყესებია“. შესაწირავს,
რომელსაც უხვად სწირავდნენ მას მოწამეები წარმართთა
წინაშე ქრისტეს აღიარებით, უფალი უკვე ცვლიდა ახალი
უხვი შესაწირავით, რომელიც მონაზვნებს სხვა მოწამეო-
ბის ასპარეზზე უნდა გაეღოთ. ის-ის იყო შეწყდა მოწამეო-
ბა, ის-ის იყო დაცხრა სისხლის ნიაღვრები ქალაქების საკ-
რებულოებსა და მოედნებზე, რომ ათასობით ქრისტიანმა
იწყო შორეულ უღაბნოებში გადასახლება, რათა იქ ჯვარს

ეცვათ „ხორცნი თვისნი ვნებითურთ და გულის თქუმით“ (გალ. 5, 24), რათა თვით სოფლისმპყრობელთა წინაშე, „მთავრობათა მიმართ და ხელმწიფებათა... სულთა მიმართ უკეთურებისათა“ (ეფეს. 6,12) ელიარებიანთ ქრისტე. მაგალითად, ღირსი პავლე თებელი უდაბნოში იმიტომ წავიდა, რომ იმპერატორ დეციუსის მიერ ქრისტიანთა მიმართ აღძრული დევნისას თავი გადაერჩინა. შესაძლოა, ზოგიერთი სხვა მოღვაწეც ამავე მიზეზით განერიდა სოფელს; სხვებს სხვა მიზეზები ჰქონდათ. მაგრამ ეს კერძო შემთხვევებია, რომელთა საფუძველზეც არავითარი ზოგადი დასკვნის გამოტანა არ შეიძლება.

ერისკაცი: მონაზვნობის ღვაწლს თქვენ მოწამეობის ღვაწლს უტოლებთ!

მონაზონი: დიახ, ეს ერთი და იგივე მოღვაწეობის სხვადასხვა სახეა. მოწამეობაცა და მონაზვნობაც სახარების ერთსა და იმავე გამონათქვამებს ემყარება, ერთიცა და მეორეც ადამიანის გამოგონილი კი არა, უფლის მიერ არის მონიჭებული კაცთათვის; ერთიცა და მეორეც შეუძლებელია სხვაგვარად აღესრულოს, თუ არა ღმრთის ყოვლადძლიერი შეწევნით, ღმრთის მადლის მოქმედებით. ამაში თავადაც დარწმუნდებით, თუ წაიკითხავთ ღირსი ანტონი დიდის, მაკარი ეგვიპტელის, თეოდორე სტუდიელის, მარიამ ეგვიპტელის, იოანე მრავალვნებულის, ნიკონ მშრალისა და სხვა მონაზვნების ცხოვრებებს, რომელთაც ზებუნებრივი მოღვაწეობა და ტანჯვა დაითმინეს. წმიდა სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი თავის მოძღვარზე, სტუდიის მონასტრის მონაზონზე,

სვიმეონ კეთილკრძალულზე ამბობს, რომ იგი მწუხარებებითა და ტანჯვით მრავალ მოწამეს მიემსგავსა.

ერისკაცი: ამიხსენი, მამაო, რა მნიშვნელობა აქვს უქორწინებლობასა და უპოვარებას მონაზვნურ ცხოვრებაში? მათთვის, ვინც სოფელში ცხოვრობს, საზოგადო სარგებლობისათვის შრომობს, უხვად გასცემს მოწყალებას და სახარებაში მითითებულ სხვა მრავალ კეთილ საქმეს სჩადის, ეს სრულიად გაუგებარია. სათანადო განმარტების გარეშე მონაზვნური ცხოვრება უქმი, უმოქმედო და უსარგებლო ჩანს.

მონაზონი: თქვენს მიერ ნახსენები საერო ცხოვრება, რომელიც სახარების მცნებების დაცვისა და ხორციელი მოღვაწეობისაგან შედგება, აუცილებელია ცხონებისათვის, მაგრამ არასაკმარისი – სრულყოფილებისთვის. ამა სოფლის საზრუნავსა და მოვალეობებში ჩაფლულ კაცს ამგვარ საქმიანობაში ხელს არაფერი უშლის. წარმატებული ამქვეყნიური ცხოვრება ადამიანს უფრო მეტი კეთილი საქმის გაკეთების საშუალებას აძლევს: მდიდარს შეუძლია დიდად შეეწიოს ღატაკ ძმებს მოწყალების გაცემით, მებატონეს კი – დაიცვას ისინი ძალადობისაგან, უშუამდგომლოს სასამართლოებში. ასეთ საქმეებში კაცი უნდა უფროთხილდეს „თავით თავისით“ მოქმედებას, რათა სახარებისეულ ფარისეველს არ მიემსგავსოს (ლუკ. 18): იგი მართლაც ბევრ კეთილ საქმეს აკეთებდა, მაგრამ არასწორი შინაგანი მიდგომა ჰქონდა ამ საქმეების მიმართ, ამიტომ მცდარი წარმოდგენა შეექმნა საკუთარ თავსა და მოყვასზე და აღარც მისი საქმეები სათნოეყო ღმერთს. მოციქული ამბობს, რომ ადამიანებმა კეთილი საქმეები ისე უნდა გააკეთონ, თითქოს *იყვნენ „კეთილნი მნე-*

ნი მრავალფეროვან მის ნიჭისა ღმრთისანი“ (1 პეტრე, 4,10).
დაე მდიდარმა გასცეს თავისი ქონება, მაგრამ არა როგორც
საკუთარი, არამედ ღმერთისგან ბოძებული. დაე მებატონემ
გაუწიოს მფარველობა მოყვასს თავისი მაღალი მდგომარეო-
ბის მეშვეობით, მაგრამ ეს მდგომარეობაც არა საკუთრად,
არამედ ღმერთისგან მინიჭებულად მიაჩნდეს. მაშინ გაქრე-
ბა შეურაცხყოფელი დამოკიდებულება მოყვასის მიმართ,
რა ნაკლოვანებებიც არ უნდა ჰქონდეს მის საქმეებს, და სინ-
დისი უკარნახებს კაცს საკუთარ თავს დაუსვას კითხვა (რო-
გორც ეს იობმა გააკეთა): სათნოა კი ღმრთის წინაშე მისი
საქმეები? ხომ არ არის მასში დიდი თუ მცირე ნაკლოვანე-
ბები? და აი, მაშინ გაჩნდება წარმოდგენა ცხოვრების უფრო
სრულყოფილი წესის შესახებ. დამეთანხმეთ, რომ მონაზ-
ვნური ცხოვრება უმოქმედოდ და უსარგებლოდ სწორედ
იმათ ეჩვენებათ, ვინც საკუთარ ცხოვრებას მაღალ, ანუ
მცდარ შეფასებას აძლევს. სწორი ქრისტიანული ცხოვრე-
ბის ნიშანი არის სიმდაბლე; ამპარტავნება და საკუთარ თავ-
ზე მაღალი წარმოდგენა კი, თვით უფლის თქმით, არასწორი
ცხოვრების სარწმუნო ნიშანია. თქვენს მიერ მოყვანილ აზ-
რში ჩანს ქრისტიანობის არცოდნა, მისი არასწორი, დამა-
ნინჯებული გაგება. ქრისტიანული სრულყოფილება თვით
ღმერთკაცმა შესთავაზა თავის რჩეულებს. სრულყოფილება
იქ იწყება, სადაც ერისკაცთათვის დაწესებული კეთილი საქ-
მეები სრულ სავსებას აღწევს. შეისწავლეთ ქრისტიანობა,
შეიცანით, რაში მდგომარეობს მისი სრულყოფილება და
თქვენ მიხვდებით, თუ რა მკრეხელობაა უსაქმურობაში და-
დანაშაულება იმ ადამიანებისა, რომლებიც სახარების ყვე-

ლაზე მაღალი, ერისკაცთათვის მიუწვდომელი მცნებების შესრულებას ცდილობენ. ის, ვინც მონაზვნობას ყვედრებითა და ცილისწამებით ავსებს, თავისთავად გმობს თვით უფლის მიერ დაწესებულ ქრისტიანულ სრულყოფილებას.

ერისკაცი: თანახმა ვარ, თანახმა! ოღონდ გასაგებად ამიხსენით უქორწინებლობისა და უპოვარების მნიშვნელობა ქრისტიანული სრულყოფილებისაკენ მიმავალ გზაზე.

მონაზონი: უქორწინებლობასა და უპოვარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვთ, შევეცდები ამის ახსნას ჩემი ძალების კვალობაზე. ის, ვინც თავისი ქონება გლახაკებს დაურიგა, რათა სრული მორჩილება გამოუცხადოს მაცხოვარს და მთლიანად მას შეუდგეს, ვინც თავისი ნებით იქცა გლახაკად, რათა განიცადოს ნაკლულევანება, სიღატაკესთან შეერთებული და სულისათვის სიმდაბლის მიმნიჭებელი, ამით აქარწყლებს თავის სასოებას, რომელიც აქამდე ამ სოფელზე ჰქონდა დამყარებული და მას მთლიანად ღმერთზე აფუძნებს. ასეთი ადამიანის გული მიწიდან ზეცად მაღლდება (მათ. 6, 21) და იგი ცხოვრების ზღვის ტალღებს ზემოდან ექცევა, სარწმუნოების მიერ ხელაპყრობილი. მთელი თავისი ზრუნვა მან უფალს მიანდო: უფალმა ხომ თავის უახლოეს მოწაფეებს უბრძანა მონაგების გაცემა (ლკ. 12,33) და ხორციელ მოთხოვნილებებზე ზრუნვის დატეგება; ამასთან აღუთქვა, რომ ზეცათა სასუფევლის მაძიებელთ ზეციერი მამის განგებით სხვა ყოველივე მიეცემა (მათ. 6, 24-33). მორწმუნეებს სხვადასხვა განსაცდელი ევლინებათ, ამ დროს ღმრთის განგება მათზე თითქოს დაფარულია და ამა სოფლის გავლენა განსაკუთრებულ ძალას იძენს. მაგრამ ეს ყველაფერი აუცი-

ლებელია ღმერთის ცოცხალი რწმენის შესაძენად, რომელიც გამოცდილებით თანდათან იზრდება და ძლიერდება. გამოცდილება ამხილებს დაცემულ ბუნებაში გამჯდარ ურწმუნობას, ღმერთისგან განდგომას და მის უარყოფას; რამეთუ გული, როგორც კი ოდნავ მოაკლდება ყურადღება, მაშინვე მთელ სასობას სავალალო სიბრძავით კვლავ საკუთარ თავზე, ამ სოფელზე, ნივთიერზე ამყარებს და ღმერთს ივიწყებს (მათ. 14, 22-33). ამ მოკლე განმარტებიდან, ვგონებ, გასაგები უნდა გახდეს, რომ მონაგების დატყვევებას ქრისტეს მოღვაწე ამაღლებულ სულიერ მდგომარეობამდე მიჰყავს, რომელიც გამოარჩევს მას სოფელში მცხოვრებ ძმათაგან და რომელიც შეუძლებელია ამ უკანასკნელთათვის გამოცდილებით იყოს ცნობილი. მაგრამ ეს ამაღლებული სულიერი მდგომარეობა ამავე დროს განუწყვეტელი ტანჯვაც არის ხორცისა და მთელი დაცემული ბუნებისათვის: ამ მდგომარეობას უფალმა ჯვარი უწოდა.

სულიერი კუთხით უპოვარების მოქმედების მსგავსია უქორწინებლობის მოქმედებაც. საკუთარ, თუნდაც დაცემულ ბუნებაზე გამარჯვების მოპოვება ისეთ მოღვაწეობას მოითხოვს, რისი წარმოდგენაც კი არ ძალუძთ გამოუცდელებს. საკუთარი ბუნების უარყოფელი ამ მოღვაწეობით სრულყოფს ჯვარცმასა და ჯვარს, რომელსაც მას უპოვარება ანიჭებს და რომლითაც მხოლოდ ქონების უარყოფა ხდება. ამ მოღვაწეობას სიმდაბლის უფსკრულამდე ჩაყვართ, იგი ცოცხალ სარწმუნოებამდე მიგვიძღვის და მადლისმიერ მდგომარეობამდე აღგვამაღლებს. ამ მოღვაწეობისას, როგორც ანტონი დიდის, იოანე მრავალვნებულისა და

სხვათა ცხოვრებებიდან ჩანს, დაცემულ ბუნებას დაცემული სულები ეხმარებიან, ისინი ცდილობენ, ადამიანები დაცემულ მდგომარეობაში ამყოფონ. რაც უფრო მძიმეა ბრძოლა, გამარჯვებაც მით უფრო საპატიოა. კაცობრივი ბუნების განახლება გულში გაჩენილი სულიერი განცდით, ერთი მხრივ, მოღვაწის გამარჯვების გამომწვევია, მეორე მხრივ კი მისი შედეგი. კაცობრივი ბუნება კაცობრივ ბუნებადვე რჩება, მაგრამ მისი აღქმა (ერში რომ იტყვიან, გემო) იცვლება: ასე მაგალითად, ზეთით გაპოხილი ქალაქი წყალს აღარ იკარებს — არა იმიტომ, რომ ქალაქის ბუნება შეიცვალა, არამედ იმიტომ, რომ მისი შედგენილობა სხვა ნივთიერებით გაიჟღინთა, რომლის ბუნება განსხვავდება წყლის ბუნებისაგან.

ერისკაცი: დღეს ძალიან ბევრი ამტკიცებს, რომ უქორწინებელი ცხოვრება არაბუნებრივი, შეუძლებელია კაცისათვის, რომ თუკი ბუნებას კანონიერ კარს მივუხურავთ, იგი იძულებული გახდება უკანონო სხვა კარი ეძიოს.

მონაზონი: ყოველი კაცი საკუთარი გამოცდილების მიხედვით მსჯელობს. უცნობი და გამოუცდილი შეუძლებლად მიიჩნევა, ნაცნობი და გამოცდილი კი — ყველას კუთვნილად. ყველა წმიდა მამა, ვინც ამ საკითხზე წერდა, თანახმანი არიან, რომ უქორწინებლობა არაბუნებრივია კაცის დაცემული ბუნებისათვის, რომ იგი ბუნებრივი იყო ადამიანისთვის დაცემამდე (დაბ. 2, 25); რომ კაცის ბუნების განახლების შემდეგ მას დაუბრუნდა ქალწულებისა და უქორწინებლობის უნარი, რომ ქალწულებასა და უქორწინებლობას ქორწინებაზე მაღალი პატივი მიეგება, თუმცა ქრისტიანობამ ცოლ-

ქმრული ცხოვრებაც უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა, ვიდრე ის ქრისტიანობამდე იდგა (ეფეს. 5, 32). ღმერთკაცი ქალწულებრივ ცხოვრებას ატარებდა, მისი ყოვლად წმიდა დედა იყო და დარჩა ქალწულად; წმიდა მოციქულები იოანე ღმრთისმეტყველი, პავლე, ბარნაბა და, უეჭველია, ბევრი სხვაც ასევე ქალწულები იყვნენ. ქრისტიანობის გაჩენისთანავე ქალწულების (მამაკაცებისა და ქალების) მთელი დასები გაჩნდა. ეს ღვაწლი ქრისტეს მიერ კაცობრივი ბუნების განახლებამდე უკიდურესად იშვიათი იყო. მსხნელის მეშვეობით ადამიანებს ღმერთის კეთილი ნება მოეფინა, რაც ანგელოზებმაც დაამტკიცეს თავიანთი გალობით (ლკ. 2, 14), და კაცობრიობა სხვადასხვა მაღლისმიერი ნიჭით აკურთხა. ქრისტიანთა ნიჭების ეს მრავალფეროვნება კარგად არის გადმოცემული სწავლებაში, რომელიც, საეკლესიო ტიპიკონით, მღვდელმა ახლად შეუღლებულებს ქორწინების წესის დასრულების შემდეგ უნდა წაუკითხოს.

ერისკაცი: საიდან უნდა იცოდეს ქრისტიანმა, შესწევს თუ არა უქორწინებელი ცხოვრების ძალა? ჩემის აზრით, ეს ძალიან რთული კითხვაა ყველასათვის, ვინც მონაზვნობის მიღებას აპირებს.

მონაზონი: ვისაც ნებავს, ის შეძლებს კიდევ (შდრ. მათ. 19, 12). როგორც უბიწო მდგომარეობაში მყოფ ადამიანს ჰქონდა თავისუფალი არჩევანი, დარჩენილიყო ამ მდგომარეობაში თუ მიეტოვებინა იგი, ასევე კაცის ბუნების განახლების შემდეგაც მის თავისუფალ ნებასაა მინდობილი არჩევანი: ან შეითვისოს განახლებული ბუნება მთელი მისი სისრულით, ან მხოლოდ ნაწილობრივ, — იმდენად, რამდენადაც

ცხოვრებისათვის არის აუცილებელი, ან კიდევ დაცემულ მდგომარეობაში დარჩეს და თავის თავში დაცემული ბუნება განავითაროს. დაცემული ბუნების განახლება არის მხსნელისაგან მომადლებული ნიჭი. ამიტომ ყოველ სახარებისეულ სათნოებას კეთილი ნება ირჩევს, მაგრამ იგი ქრისტეს მიერ ეძლევა მნებებელს, როგორც ნიჭი ღმრთისა. კეთილ ნებას ადამიანი სათნოებებისადმი თავისი სწრაფვით ადასტურებს, თვით სათნოება კი ღმერთს უნდა შევთხოვოთ გულმოდგინე და მოთმინე ლოცვით. არც ერთი სახარებისეული სათნოება არ არის დამახასიათებელი დაცემული ბუნებისათვის, მოღვაწეს ყველაფრისთვის საკუთარ თავზე ძალდატანება მოუწევს, მან ყველაფერი უფალს უნდა გამოსთხოვოს მდაბალი, გლოვასთან შეერთებული შინაგანი ლოცვით (ღირსი მაკარი დიდი, 1, 13). სხვა სახარებისეულ სათნოებათა მსგავსად, უქორწინებლობა ადამიანმა საკუთარი თავისუფალი ნებით უნდა აირჩიოს; დაცემული ბუნების მიდრეკილებებთან ბრძოლით, ხორცის დათრგუნვით დაამტკიცოს სიწრაფელე თავისუფალი ნებისა, ღმერთს შესთხოვოს ნიჭი სიწმინდისა, თვით თხოვნას კი შეუერთოს იმის შეგნება, რომ დაცემულ ბუნებას „თავით თვისით“ არ ძალუძს სიწმინდე და თბილი, ღმობიერებით სავსე ლოცვა (ბარსანაბოს დიდი, 255-ე პასუხი). ამგვარად განმარტავს ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი ადამიანის უქორწინებელი ცხოვრების უნარს და თავის განმარტებას უფლის ამ სიტყვებით ამთავრებს: „ყოველი, რომელი ითხოვდეს, მიეცეს, და რომელი ეძიებდეს, პოვოს“ (მათ. 7, 8). გადახედეთ წმინდანთა ცხოვრებებს, სადაც დაცემული ბუნების წინააღმდეგ მათი

ბრძოლაა აღწერილი: თქვენ ნახავთ, რომ ჩვეულებრივი მდგომარეობიდან, რომლისთვისაც უქორწინებელი ცხოვრება არაბუნებრივია, სხვა მდგომარეობაში, რომლისთვისაც უქორწინებლობა თვისობრივია, ყველა წმინდანი გადავიდა დაცემული ბუნების გულისთქმებსა და მიდრეკილებებთან განსაკუთრებით მძიმე ბრძოლის შემდეგ; დაინახავთ, რომ ამ ბრძოლაში მათი იარაღი იყო ლოცვა და გლოვა, დაინახავთ, რომ მხოლოდ ქალწულებმა როდი აიშორეს თავიდან ქორწინების აუცილებლობა, ანდა ქვრივებმა — განმეორებითი ქორწინება, არამედ ყველაზე გარყვნილი ადამიანები, ვნებებით სავსენი, ათასი დანაშაულით შებილწულნი, ცოდვილი ჩვევებით შეკრულნი და შებოჭილნი, ამაღლდნენ და აფრინდნენ უტკნობი სიწმინდისა და სისუფთავისკენ. გიმეორებთ: ახალი აღთქმის ეკლესიაში ათასობით ქალწული, ქვრივი, მემრუშე, შემდგომში უბიწოების ჭურჭლებად ქცეული, უეჭველად ამტკიცებს, რომ უქორწინებლობის ღვაწლი არამცთუ შეუძლებელი, ისეთი მძიმეც კი არ არის, როგორადაც იგი თეორეტიკოსებს წარმოუდგენიათ: ისინი ხომ ქალწულებაზე გამოცდილებით მიღებული, ეკლესიის ზნეობრივი გარდამოცემით მინიჭებული ცოდნის გარეშე მსჯელობენ. ეს თეორეტიკოსები, გულახდილად გეტყვით და, საკუთარი გარყვნილების, ბრმა და შეუვალი წინასწარ შთაგონებული აზრის, მონაზვნობისა და საერთოდ, მართლამადიდებელი ქრისტიანობის სიძულვილის პოზიციიდან მსჯელობენ. სამართლიანად სწერდა წმიდა ისიდორე პელუსიელი წმიდა კირილეს, ალექსანდრიის პატრიარქს: „წინასწარ მიღებუ-

ლი აზრი ბუნდოვნად ხედავს, სიძულვილი კი სრულიად ბრმა არის“.

ერისკაცი: მაგრამ ხომ უნდა ვაღიაროთ, რომ დამაბრკოლებელი ქცევები, ასე უხვად და აშკარად რომ გვხვდება, მონასტრებისა და მონაზვნების წინააღმდეგ დაგდებული ხმებისთვის საკმაო მიზეზს იძლევა.

მონაზონი: მაგაში გეთანხმებით. ნუ გეგონებათ, თითქოს ყველასათვის მავნებელი ბოროტების დამალვას ვცდილობდე. პირიქით, მე გულწრფელად მინდა, რომ ბოროტება აღმოიფხვრას ქრისტეს ყანიდან, რომ ეს ყანა მხოლოდ სუფთა, მწიფე თავთავს იძლეოდეს. გიმეორებთ: აუცილებელია მთელი სიზუსტით განიმართოს საღმრთო განწყობა და იგი კაცობრივი ბოროტმოქმედებისაგან განირჩეს, რათა წარმატებით შევებრძოლოთ ამ უკანასკნელს. აუცილებელია სწორი წარმოდგენა გვქონდეს ბოროტებაზე, რათა მართებული საშუალებები გამოვიყენოთ მის წინააღმდეგ და ბოროტება ისევ ბოროტებით არ შევცვალოთ, ცთომილება – ცთომილებით, ბოროტმოქმედება – ბოროტმოქმედებით; რათა ფეხით არ გავქელოთ, არ უარყყოთ, არ დავამახინჯოთ საღმრთო განწყობა. აუცილებელია მკურნალობის ხელოვნებისა და წესების ცოდნა, რათა ნამდვილად სასარგებლო და ქმედითი წამლები გამოვიყენოთ, რათა არასწორი მკურნალობით ავადმყოფი მორჩენის ნაცვლად არ მოვკვლიათ.

საერთოდ, თანამედროვე ერისკაცთა წარმოდგენა მონაზვნებზე ერთობ არასწორია სწორედ იმიტომ, რომ პირველნი მეტისმეტად ემიჯნებიან მონაზვნებს სულიერი და ზნეობრივი თვალსაზრისით. სინამდვილეში მონასტრებში მცხოვ-

რებ ქრისტიანებსა და ერში მცხოვრებ ქრისტიანებს შორის მკვიდრი ზნეობრივი კავშირია. მონასტრებში მცხოვრებნი იქ მთვარიდან ან რომელიმე სხვა პლანეტიდან ხომ არ ჩამოფრენილან, ისინი ამ ცოდვილი მიწიდან მოვიდნენ; ის ზნეობა კი, მონასტრებს რომ უწუნებენ, ამ სოფელში ჩამოყალიბდა და მას სოფელთან მჭიდრო კავშირი ასაზრდოებს. მონაზონთა ზნეობრივი დაცემა პირდაპირ კავშირშია ერისკაცთა ზნეობრივ დაცემასთან; მონასტრებში ზნეობის დაცემა უშუალო შედეგია ერისკაცთა შორის ზნეობისა და რელიგიის დაცემისა. მონაზვნობა ქრისტიანობას ეფუძნება, მას ემყარება და მისით არსებობს, მისი წარმატება და დასუსტებაც ქრისტიანობის საერთო წარმატებისა და დასუსტების კვალდაკვალ ხდება. საქმის არსი ქრისტიანობაა: მონაზვნობა მისი სახეა, მისი განსაკუთრებული გამოვლინება. სწეულება საერთო გვაქვს! ერთად ვიგლოვოთ მისთვის და ერთად ვიზრუნოთ მის გამოსწორებაზე! გამოვიჩინოთ თანაგრძნობა კაცობრიობის მიმართ, გამოვიჩინოთ სიყვარული! მოვეშვათ ერთურთის სასტიკ ყვედრებას – ესაა სიძულვილისა და ფარისევლობის გამოხატულება, რომელიც ავადმყოფში ავადმყოფობის განკურნებას კეტის ცემით ცდილობს.

ერისკაცი: თქვენი შეხედულება ერისკაცთა და მონაზონთა ზნეობრივი კავშირის შესახებ ჩემთვის კიდევ ერთი სიახლეა. როგორც ვხვდები, აქამდე საკუთარი გამოცდილებით მიხვედით. უამისოდ ეს აზრი არ იქნებოდა ესოდენ ღრმა, ესოდენ განსხვავებული ზერელე თეორიული შეხედულებებისგან. ნუ მეტყვით უარს და უფრო დაწვრილებით გამარკვივით საქმის არსში.

მონაზონი: არ შემცდარხართ: ჩემს მიერ გამოთქმული აზრი ნაწილობრივ ჩემი საკუთარი დაკვირვების შედეგია, ნაწილობრივ კი სრულიად სანდო ადამიანებმა გადმომცეს. სანკტ-პეტერბურგის მიტროპოლიტმა სერაფიმემ კონსისტორიაში ბოლო დროს განშირებულ განქორწინებებზე საუბრისას მითხრა, რომ ადრე, მოსკოვში ქორეპისკოპოსად ყოფნისას, კონსისტორიაში წელიწადში ერთი ან დიდი-დიდი ორი საქმე შემოსულიყო განქორწინების თაობაზე, მისი თანამედროვე მოხუცებული მღვდელმთავრები კი თურმე ამბობდნენ, ჩვენს დროს ასეთი საქმეები საერთოდ არ არსებობდაო. აი ფაქტი, რომელიც ნათლად ასახავს ძველი დროის ზნეობას და მის დაღმასვლას დღევანდელ მდგომარეობამდე – სწრაფ, სამწუხარო დაღმასვლას. სხვა მოხუც მონაზონთა ნაამბობიც ადასტურებს იმ დასკვნას, რომელიც მიტროპოლიტ სერაფიმეს მონაყოლიდან გამოდის. ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში მონასტრებში ბევრი ქალწული მიდიოდა, ბევრს ღვინის გემოც კი არ ჰქონდა გასინჯული, არც საერო გასართობებში მიუღია ოდესმე მონაწილეობა და არც რაიმე საერო წიგნი წაუკითხავს. ისინი წმიდა წერილისა და მამათა თხზულებების კითხვით იყვნენ განათლებულნი, ეკლესიაში სიარულის ჩვევა ძვალ-რბილში ჰქონდათ გამჯდარი და სხვა სათნოებებსაც უხვად ფლობდნენ. მონასტრებში მათ შეჰქონდათ სრულყოფილი, მავნე ჩვევებით შეურყეველი ზნეობა, ბოროტი მიდრეკილებებით გაუტეხავი ჯანმრთელობა, რომელიც ფიცხელი მოღვაწეობის, შრომის, მრავალი გასაჭირის დათმენას უადვილებდათ. ერის მკაცრი

დმრთისმოსაობა მკაცრ, სულითა და ხორციით ძლიერ მონაზვნობას ამზადებდა.

დღეს დაუძღვრებულნი ქრისტიანობა, თავისი მდგომარეობის შესაბამისად, სუსტ მონაზვნებს ამზადებს. დღეს უდიდესი იშვიათობაა ქალწულის მონასტერში მისვლა! უდიდესი იშვიათობაა მანკიერი ჩვევებისაგან თავისუფალი ადამიანის მისვლა! იშვიათია ისეთი ადამიანის გამოჩენა, ვისაც ჯანმრთელობა გატეხილი არ ჰქონდეს და მონასტრული მოღვაწეობის ტვირთვა შეეძლოს! დღეს მონასტერში უფრო მეტად სუსტი, სულითა და ხორციით ნაკლები ადამიანები მოდიან, მოდიან ისინი, ვისაც მეხსიერება და წარმოსახვა პირთამდე სავსე აქვს რომანებისა და სხვა ამგვარი წიგნების კითხვით; ვისაც ხორციელი ტკბობა მოჰყირჭვებია და სოფელში მიმოფანტული ყველა საცთურის გემო გაუსინჯავს; ვისაც ბოროტი ჩვევები უკვე ღრმად აქვს გამჯდარი, სინდისი – მოჩლუნგებული და ჩაკლული ცხოვრების იმ წესის მიყოლის გამო, რომლის დროსაც დაშვებულია ყოველგვარი უსჯულოება და ყოველგვარი ტყუილი ამ უსჯულოების შესანიღბად. ასეთი ადამიანებისათვის საკუთარ თავთან ბრძოლა ძალიან ძნელია. ძნელია იმის გამო, რომ მას უკვე შესისხლხორციებული აქვს ბოროტი ჩვევები, დაკარგული აქვს გულწრფელობა – აღარც კი ძალუძს იყოს გულწრფელი. ამავე მიზეზის გამო გაძნელებულია მათი სწავლებაც. ეს ადამიანები მონასტერში კი მივიდნენ და მონაზვნის შავი შესამოსელითაც შეიმოსნენ, მაგრამ საერო ცხოვრებაში შეძენილი ჩვევები და მიდრეკილებები მათთან რჩება და, რაკი ვერ კმაყოფილდება, ახალ ძალას იძენს. ეს ცოდვილი ჩვევე-

ბი და ცოდვილი მიდრეკილებები მხოლოდ მაშინ შესუსტდება, როდესაც მათი ტყვე აღიარებს თავის ცოდვებს და ბრძოლას უცხადებს მათ. თუ არადა, როგორც კი დამშეულ ჩვევას, სინამდვილეში ჯერაც გაბატონებულს ადამიანში, შემთხვევა მიეცემა, უმაღლე ხარბად და გახელებით იკმაყოფილებს სურვილს. ბევრმა ნავსაყუდელმა (ნავსაყუდელებში მონასტრებს ვგულისხმობ), ოდესღაც რომ საიმედო თავშესაფარი იყო ზნეობრივი სწეულებით ტანჯულთათვის, დროთა განმავლობაში სახე იცვალა, დაკარგა უწინდელი ღირსება. ბევრი მონასტერი, მათ დამაარსებელთა მიერ მიუვალ უდაბნოში ან, ყოველ შემთხვევაში, სოფლისაგან მოშორებით აგებული, ამჟამად, მოსახლეობის მომრავლების გამო, შუაგულ სოფელში, უამრავ საცთურს შორის აღმოჩნდა. სწეული, რომელსაც უჭირს საცთურის პირისპირ წინააღმდეგობა, გასცდება თუ არა მონასტრის ჭიშკარს, მაშინვე მის წინაშე აღმოჩნდება; მაგრამ ამაზე უარესი ისაა, რომ საცთური თვითონ იჭრება მონასტერში საშინელი ძალითა და სისასტიკით, იწვევს ზნეობრივ განადგურებასა და ათასგვარ ბოროტებას. მონაზვნობის მოძულე სული მონასტერში საცთურის შეტანას თავის ზეიმად მიიჩნევს. ეს წარმატება იწვევს ხმამაღალ სიცილს, გამარჯვების ტაშს, ამ დროს კი ცოდვა და უბედურება საერთოა! ამა სოფლის დღევანდელი ზნეობისა და მიმართულების გამო მონასტრებს კიდევ უფრო, ვიდრე ოდესმე, შეჭვერით სოფლისაგან მოშორებით ყოფნა. როდესაც ერის ცხოვრება ეკლესიის ცხოვრებასთან იყო შეერთებული, როდესაც ერი ეკლესიის ცხოვრებით ცხოვრობდა, როდესაც ერისკაცთა ღმრთისმოსაობა მონა-

ზონთა ღმრთისმოსაობისგან გარეგნულად მხოლოდ ქორწინებითა და ქონების შექმნით განსხვავდებოდა, მაშინ მონასტრის არსებობა შუაგულ ქალაქში ჩვეულებრივი რამ იყო და ქალაქის მონასტრებმა დაამტკიცეს ეს, აღზარდეს რა მრავალი წმიდა მონაზონი. მაგრამ დღეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოციქულის ზემოთ მოყვანილ დარღვებას (2 კორ. 6, 16-18) და მას განსაკუთრებული გულმოდგინებით უნდა მივლით.

ერისკაცი: ბევრი ფიქრობს, რომ საცთურის მიზეზთა შემცირებას ხელს შეუწყობდა ისეთი კანონის შემოღება, რომელიც აუკრძალავდა მონასტერში წასვლას ახალგაზრდებს – მათ ხომ განსაკუთრებული ძალით ებრძვის გარეგანი საცთური და ვნებებიც განსაკუთრებით ებრძვიან. ამ კანონით მონასტერში წასვლის ნება მხოლოდ ასაკოვან ხალხს და მოხუცებს უნდა მიეცეთ.

მონაზონი: ეს გზა, ერთი შეხედვით ესოდენ გონივრული, ამა სოფლის სიბრძნის თანახმად მონაზვნობის დაცვა და ამადლება რომ განუზრახავს, სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა მონაზვნობის მოსპობის მოკლე და პირდაპირი გზა. მონაზვნობა არის მეცნიერება მეცნიერებათა, მასში პრაქტიკა და თეორია მჭიდრო კავშირით უკავშირდება ერთმანეთს, ეს გზა თავიდან ბოლომდე სახარების შუქით არის განათებული, ამ გზით ადამიანი, ზეციური ნათლის შეწვევით, გარეგნული მოღვაწეობიდან საკუთარი თავის შეცნობამდე მიდის. სახარების მიერ მინიჭებული საკუთარი თავის ხედვის სისწორეს უეჭველად ადასტურებს შინაგანი გამოცდილება, ეს სისწორე კი თავის მხრივ სახარების ჭეშმარი-

ტებას ამტკიცებს. მონაზვნობას, ამა სოფლის სწავლულთა ენით რომ ვთქვათ, ყველაზე დაწვრილებითი, საფუძვლიანი, ღრმა და მაღალი ცოდნა შეაქვს ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიასა და ღმრთისმეტყველებაში, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი არის კაცისა და ღმერთის ქმედითი, ცოცხალი შემეცნება, რამდენადაც ეს მისაწვდომია ადამიანისთვის. კაცობრივი მეცნიერებების შესწავლას ცოცხალი გონება, შემეცნების სრული უნარი, გაუფლანგავი სულიერი ენერგია სჭირდება, და მით უფრო აუცილებელია ეს ყველაფერი მეცნიერებათა მეცნიერების, მონაზვნობის შესასწავლად. მონაზონს საკუთარ ბუნებასთან ბრძოლა მოეწივს, და საუკეთესო ასაკი ამ ბრძოლის დასაწყებად სწორედ ახალგაზრდობაა. იგი ჯერ არ არის ჩვევების არტახებით შეკრული; ნებაც უფრო თავისუფალია. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საუკეთესო მონაზვნები მონასტერში ახალგაზრდობაში მისულნი არიან. ჩვენი ღრობის მონაზონთა უმრავლესობა სიყრმიდანვე მონაზვნებისაგან შედგება. მოწიფულ ასაკში მონაზვნებად ცოტანი მიდიან, სიბერეში კი — ძალიან ცოტანი. ვინც მოწიფულ ასაკში ან სიბერეში მიდის მონასტერში, ხშირად ვერ უძლებს მონასტრულ ცხოვრებას და ერში ბრუნდება, ისე რომ ვერც კი იგებს, რა არის მონაზვნობა. მონასტერში დარჩენილებს შორისაც ძირითადად თითქმის მხოლოდ გარეგნული ღმრთისმოსაობა და გარეგნული წესების შესრულება რჩება: ეს გარეგნული ღმრთისმოსაობა ძალიან მოსწონთ და სრულიად აკმაყოფილებთ ერისკაცებს, მაგრამ ასეთ მონაზვნებში არ არის თვით არსი მონაზვნობისა, ანდა იგი იშვიათად,

ძალზე იშვიათად გვხვდება, საერთო წესიდან გამონაკლისის სახით.

გადავიდეთ წმიდა ეკლესიის მიერ ბოძებულ დარიგებებზე: „ესე — სიბრძნე — შევიყუარე და ვეძიებდი სიჭაპუკით ჩემითგან და ვეძიებდ სძლად მოყუანებად ჩემდა და ვეტრფი-ალე სიკეთესა მისსა. აზნაურებაჲმან ადიდის მის თანა ცხოვრებულნი, რომელი ღმრთისა მიმართ ილოცავნ და ყოველთა მფლობელმანცა შეიყუაროს იგი, რამეთუ საიდუმლოჲ არს იგი ღმრთის-მეცნიერებისაჲ და მოძოვნებელი საქმეთა მისთაჲ“ (სიბრძნე, 8, 2-4). „იხარებდ, ჭაპუკო, სიჭაპუკესა შენსა და განგახარენ შენ გულმან შენმან დღეთა სიჭაპუკისა შენისათა და ვიდოდე გ ზათა შენთა უბიწოდ და ნუ ხილვითა თუალთა შენთაჲთა“ (ეკლესიასტე, 11, 9). „შვილო ჩემო, სიყრმით შენითგან აღირჩიე სწავლულებაჲ და სიბერედმდე ჰპოვო სიბრძნე. ვითარცა კაცი ერთი აღმსობილი მხნველი და მთესველი, ეგრეთ მიუხედ მას და მოელოდე კეთილთა ნაყოფთა მისთა“ (ზირაქი, 6, 18-19). წმიდა მამები წმიდა წერილის ამ ადგილებში მეცნიერებათა მეცნიერებას — მონაზვნობას გულისხმობენ; და ალბათ ყველასათვის ცხადია, რომ აქ ნახსენებ სიბრძნეში ამა სოფლის სიბრძნე არ უნდა იყოს ნაგულისხმევი. VI მსოფლიო კრების მე-40 კანონი ამბობს, რომ ძალიან სასარგებლოა ღმერთთან მიახლება ამაო სოფლის დატევების გზით, მაგრამ იგივე კანონი ბრძანებს, მონაზვნად აღკვეცა შესრულდეს ჯეროვანი განხილვის შემდეგ და არა უადრეს ათი წლისა, როდესაც გონებრივი შესაძლებლობები საკმარისად განვითარდება. ღირსი მონაზვნების ცხოვრებებიდან ჩანს, რომ მათი უმრავლესობა მო-

ნასტერში 20 წლის ასაკში მიდიოდა. წმიდა მამებს მიაჩნდათ, რომ მოხუცებულობას არ ძალუძს მონასტრული ცხოვრება. მოხუცებულობას არ ძალუძს მონასტრული ცხოვრება! იგი ჩაკირულია თავის ჩვევებში, აზროვნების წესში, მისი შესაძლებლობები დაბლაგვებულია! ახალგაზრდული ღვაწლი მისთვის უჩვეულოა. ღირსმა ანტონი დიდმა 60 წლის პავლე წრფელს თავიდან უარი უთხრა მიღებაზე იმ მიზეზით, რომ იგი სიბერის გამო ვერ შეძლებდა მონასტრულ ცხოვრებას. პირიქით, ბევრი მონაზონი მონასტერში სიყრმიდანვე მიდიოდა და უდიდეს სულიერ წარმატებას აღწევდა ნების სიმრთელის, უბიწოების, სათნოებისაკენ გულწრფელი მისწრაფებისა და აღქმის სიმახვილის გამო – ყველა ეს თვისება ხომ ესოდენ დამახასიათებელია ყრმობის ასაკისათვის.

ერისკაცი: ნების სიმტკიცე, უშუალოდ მიზნისაკენ მიმართული ნებისყოფა აუცილებელია სულიერი წარმატებისათვის. სწორედ ამ თვისებების დროულად შენიშვნა და განსაზღვრა საჭირო მონაზვნობის მსურველში.

მონაზონი: სამართლიანი შენიშვნაა! მონასტერში მიღებისას ოდითგანვე იცავდნენ და დღეს კიდევ უფრო მეტად იცავენ სიფრთხილეს: განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია ეს ფორმალობები მაშინ, როდესაც ახალმოსული არ ეკუთვნის სასულიერო ფენას – მაშინ მონასტერში მიღების პროცესი ხანგრძლივი და ხშირად ძალიან ძნელიც ხდება. მაგრამ ნებისყოფის სიმტკიცე ანუ ჭეშმარიტი ნება ზოგჯერ ხანგრძლივი დროის შემდეგ იჩენს ხოლმე თავს, ხან თავიდანვე, ხან კი მოგვიანებით. ზოგიერთი მონასტერში მოს-

ვლისას პირველად მოწიწებას და თავგანწირვას იჩენს, მაგრამ მერე ძალა ეცლება; ზოგი კი პირიქით, თავიდან ქარაფ-შუტულად იქცევა, მაგრამ შემდეგ თანდათან ითვისებს მონაზვნურ ცხოვრებას და ბოლოს მკაცრი, მოშურნე მონაზონი ხდება (ასეთი იყო, მაგალითად, ბერი სილოვანე, იხსენიება 15 მაისს). წმიდა ისააკ ასური ამბობს: „რა ხშირია, რომ ადამიანი უწესო ცხოვრებას ეწევა, განუწყვეტლივ იგვემება და ეცემა იმის გამო, რომ არ იცის მონაზვნური ცხოვრება, მუდამ სულიერ დახსნილებაშია, მაგრამ უეცრად გამოსტაცებს ხელიდან დროშას ძლევაგამოსილებს; მისი სახელი იდიდება და ბევრად უფრო ქებული ხდება, ვიდრე გამარჯვებებით განთქმულ მოღვაწეთა სახელები: იგი ღებულობს გვირგვინს და მის მეგობრებზე გაცილებით უზე სულიერ ნიჭებს. ამიტომ დაე ნურავინ წარიკვეთს სასოს, ვინც არ უნდა იყოს იგი; ოღონდ ნუ ვიქნებით უდებნი ლოცვაში და ნუ დავიზარებთ ვევედროთ უფალს შეწევნას“ (სიტყვა 47). ხშირად უდიდესი ცოდვილები უდიდეს წმინდანებად ქცეულან. მონასტერი სინანულის ადგილია. შეუძლებელია სინანულის მსურველსა და მაძიებელს უარი უთხრა, როდესაც სინანული თვით ღმერთმა მოგვცა და მისი ნავსაყუდელი, მონასტერიც ჯერ არ წაურთმევია. როდესაც წმიდა იოანე კიბისაღმწერელი, VI საუკუნის მოღვაწე, მონასტრული ცხოვრების არჩევის მიზეზებს ჩამოთვლიდა, ბევრად უფრო ხშირად ასახელებდა ცოდვისაგან გაქცევისა და ცთუნებებისაგან თავის დაღწევის სურვილს, ვიდრე ქრისტიანული სრულყოფილების მიღწევის სურვილს — ეს უკანასკნელი ცოტას თუ ჰქონდა (კიბე, თავი 27). დღეს, როდესაც ქვეყნად ასე მომრავ-

ლდა ცთუნებები და ცოდვით დაცემა, როდესაც კაცობრივი ძალა მოუძღურდა ამ საცთურთა წინაშე, როდესაც საკუთარი ცოდვილობის შეგნება და მისგან გათავისუფლების სურვილი ჯერ კიდევ ყველა ადამიანში არ ჩამქრალა, მონასტერში მიმავალთა უმეტესობა ცოდვათა სიმძიმისაგან შემსუბუქებას, საკუთარი უძღურების კურნებას, თავის დაძლევას, ვნებების დათრგუნვას ეძიებს. უკვე წმიდა იოანე კიბისადმწერელი უწოდებდა მონასტერს სამკურნალოს (თავი 1), დღეს ხომ მით უმეტეს შეშვენით მონასტრებს ეს სახელი. დანუთუ უარი უნდა ვუთხრათ დახმარებაზე კაცობრიობას, ესოდენ ტანჯულს ზნეობრივი სნეულებებით? თუკი გულმოდგინედ ვზრუნავთ ხორციელად სნეულთა, საპყართა და უძღურთა თავშესაფრების მოწყობაზე, განა რატომ არ უნდა არსებობდეს სულიერად სნეულთა, საპყართა და უძღურთა თავშესაფარი? ისინი, ვინც მონასტრებზე საკუთარი მცდარი წარმოდგენების საფუძველზე მსჯელობენ, მოითხოვენ, რომ ამ საავადმყოფოებში ჯან-ღონე ყვაოდეს, რათა იქ სნეულების კვალიც არსად ჩანდეს! არა, ეძიეთ იქ სწორი კურნება, და მაშინ თქვენი მოთხოვნა იქნებ უფრო სამართლიანი იყოს!

ამ აზრის პრაქტიკული განხორციელება მე თვითონ ვნახე. კალუგის ეპარქიაში, ქალაქ კოზელსკთან ოპტას უდაბნო მღებარეობს. 1829 წელს იქ ჩავიდა მონაზვნური ცხოვრების გამოცდილების მქონე მღვდელმონაზონი ლეონიდე; შემდგომში მას შეუერთდა მისი უახლოესი მოწაფე, მღვდელმონაზონი მაკარი. ორივე ბერი მამათა ნაწერებით იყო ნასაზრდოები, თვითონაც ამ ნაწერებით ხელმძღვანელობდნენ და

სხვებსაც, ვინც მათ მიმართავდა რჩევისათვის, ამავე წყარო-
თი არწყულებდნენ. თავის მხრივ, ცხოვრებისა და ქცევის
ასეთი წესი მათ თავიანთი მოძღვრებისგან გადმოიღეს; ამ-
გვარი ცხოვრება პირველი ბერებისგან დაიწყო და შთამო-
მავლობით გადმოეცა ჩვენს დროს; იგია ძვირფასი მემკვიდ-
რეობა და განძი მონაზვნებისა — იმათი, ვინც ამ სახელისა
და ამ წოდების ტარების ღირსია. ოპტას უდაბნოს ძმობა
სწრაფად გამრავლდა და სწრაფადვე მიაღწია ზნეობრივ
წარმატებას. მოშურნე ძმებს ბერებმა აუხსნეს მოღვაწეობის
სწორი წესი; მერყევი განამტკიცეს და გაამხნევეს, სუსტე-
ბი განაძლიერეს, ცოდვებში ჩავარდნილებსა და ცოდვილ
ჩვევებს დამონებულებს სინანული გაუღვიძეს და განკურნეს.
სქემონაზონთა უბრალო ქოხებისკენ ყველა ფენის ერისკაც-
თა ნაკადები დაიდრა: ისინი მათ წინაშე აღიარებდნენ თავი-
ანთ სულიერ სნეულებებს, ეძიებდნენ წამალს, ნუგეშინის-
ცემას, გამხნევებას, კურნებას. ათასობით ადამიანი უნდა
უმაღლოდეს მათ თავიანთ კეთილმსახურ მიმართულებასა
და შინაგან მშვიდობას. ეს ბერები თანაგრძნობით შეჰყურებ-
დნენ ტანჯულ კაცობრიობას, განუმარტავდნენ მხსნელის
მნიშვნელობას, ხოლო ამ მნიშვნელობისაგან გამომდინარე
— ქრისტეს გულისათვის ცოდვილი ცხოვრების დატევების
მნიშვნელობას. ეს მამები შემწყნარებელნი იყვნენ კაცთა უძ-
ლურების მიმართ და ამასთან მძლავრ კურნებასაც იყენებ-
დნენ მის წინააღმდეგ. ასეთია მართლმადიდებელი ეკლესი-
ის სულისკვეთება, ასეთები იყვნენ მისი წმინდანები ყოველ
დროში. სისო დიდს, IV საუკუნის მონაზონს, ერთმა ძმამ გა-
ანდო, განუწყვეტლივ ვეცემიო. ღირსმა მამამ ანუგეშა იგი

და ურჩია, ყოველ დაცემას სინანულით უწამლე და მთელი ცხოვრება მოღვაწეობაში გაატარეო. სასარგებლოა თუ არა ეს რჩევა? და რა რჩევას მისცემდნენ იმ ძმას ჩვენი თანამედროვე თეორეტიკოსები? ალბათ უკვე რაღაც სხვანაირს. ოპტას უდაბნო პირველად 1829 წელს მოვინახულე, მეორედ — 1856 წელს. მაშინ იგი თავისი აყვავების ხანაში იყო, ძმობა ორას კაცს შეადგენდა; მღვდელმონაზონი ლეონიდე უკვე ნეტარხსენებულთა დასს შერთვოდა, 70 წლის ბერი მაკარი ძმობას ხელმძღვანელობდა და მონასტრის აურაცხელ მოძღვრობას რჩევა-ღარიგებებით ასაზრდოებდა. ძმობის სულიერი წარმატებისა და მრავალრიცხოვნების მიუხედავად მცირედნი, ერთობ მცირედნი იჩენდნენ ნიჭს, რომ გამხდარიყვნენ სულის მკურნალნი, სხვათა ხელმძღვანელნი, რისთვისაც საჭიროა თანდაყოლილი ნიჭიც და ნამდვილი მონაზვნური მოღვაწეობით ჩამოყალიბებული სულიც. ასეთია საავადმყოფოთა საერთო მდგომარეობა: ექიმები ცოტანი არიან, ავადმყოფები კი — ბევრნი. ღღეს მკურნალთა რიცხვი სულ უფრო კლებულობს, ავადმყოფებისა კი მატულობს. მიზეზი ამისა ისევ და ისევ ეს სოფელია. შეხედეთ, ვის უშვებს იგი მონასტრებში? არა რჩეულ ქრისტიანებს, როგორც ქრისტიანობისა და მონაზვნობის პირველ ხანებში, არა საზოგადოების განათლებული ფენების წევრებს, არა, ღღეს მონასტრები ძირითადად დაბალი ფენებიდან გამოსული ადამიანებით არის სავსე. თანაც როგორი ადამიანებით? ვისაც არა აქვს უნარი იმსახუროს თავის ადგილას, მის ჩვეულ გარემოში. დაბალი ფენების ძალიან ბევრ წარმომადგენელს მონასტერში მისვლისას ამ ფენების დამახასიათებელი მანკიერე-

ბები აქვს ძვალ-რბილში გამჯდარი, განსაკუთრებით კი ის სისუსტე, რომელსაც ჯერ კიდევ მოციქულთასწორმა თავადმა ვლადიმერმა საერთო-სახალხო უწოდა. მონასტერში მისვლისას ამ სისუსტით სნეულ ადამიანს განზრახული აქვს ხელი აიღოს მავნე ჩვევაზე, თუნდაც საკუთარ თავზე საშინელი ძალდატანების ფასად, მაგრამ ჩვევა ჩვევაა და ხშირად იჩენს ძალას მათზე, ვინც გაუფრთხილებლად და განუსჯელად დაემონა მას. ბევრი ძალიან ღმრთისმოსავი, კეთილი თვისებებით შემკული ადამიანია ამ სენით გვემულთა შორის. ისინი მწარედ გლოვობენ თავიანთ დაცემას, ცდილობენ სინანულით აღზოცონ იგი, მაგრამ საიდუმლო გლოვა სენაკში და საიდუმლო სინანული გულის სიღრმეში კაცთათვის უხილავია, სამაგიეროდ, დაცემა კარგად ჩანს. ამგვარი სისუსტე, განსაკუთრებით მონასტერში შენიშნული, ძალიან აბრკოლებს მაღალ ფენას. მართალია, მაღალ ფენას თავისი სისუსტეები აქვს, მაგრამ მათ ადვილად მისატყეველად მიიჩნევს და კიდევაც მიუტყევებდა, იგივე რომ ენახა მონასტერში, მაგრამ რაკილა საკუთარი ჩვევებითა და საკუთარი შეხედულებებით აღებს მონასტრის კარს, იქ კი მდაბიო ხალხის სისუსტეები ხვდება, ბრკოლდება; იმას კი ველარ უწევს ანგარიშს, რომ მდაბიოთა სამყოფელში შედგა ფეხი. იგი ხედავს მონაზვნებს — ერისკაცთაგან სრულიად გამიჯნულ არსებებს და ფიქრობს, რომ მონაზვნები სრულყოფილების განსახიერებები უნდა იყვნენ, ერისკაცებს კი ყველაფრის უფლება აქვთ და მათთვის ყველაფერი დასაშვებია; უბრალო ხალხი თავისი ფენისათვის დამახასიათებელ ამ სენს სულ სხვა თვალთ უყურებს. ამ საუკუნის დასაწყისში

ერთ-ერთ შორეულ მონასტერში ცხოვრობდა ბერი, რომელიც მოყვასთა სწავლებით იყო დაკავებული; მის შემდეგ დარჩა წერილობითი დარიგება მემთვრალეობის ვნებით შეპყრობილთა მიმართ. ეს ბერი თვითონაც უბრალო ფენიდან იყო გამოსული, ამიტომ თანაგრძნობით ეკიდებოდა სწეულ ძმებს და წერდა: როდესაც კაცს საკუთარ თავზე ძალაუფლება დაკარგული აქვს, შეუძლებელია იგი განიკურნოს ან თუნდაც თავის შეკავება შეძლოს, თუ საცთურთა შორის იმყოფება. ბერი ურჩევდა ამ ვნებით შეპყრობილებს მის მონასტერში მისულიყვნენ, რადგან იგი ყოველგვარი საცთურისაგან შორს მდებარეობდა. ეს ძალიან კარგი და ჯანსაღი რჩევაა. დასახლებული ადგილებიდან მოშორებული მონასტრები ჭეშმარიტი ნავსაყუდლები და სამკურნალო სახლები შეიძლება გახდეს სულიერი სწეულებით გვემულთათვის, ამასთან, მათ შეუძლიათ დაფარონ ცთუნების საგნები სწეულთაგან.

ერისკაცი: თქვენი ნათქვამიდან ის დასკვნა გამოდის, რომ მონასტრების (ყოველ შემთხვევაში ბევრი მათგანის) ნამდვილი მდგომარეობა არ შეესაბამება მათ დანიშნულებას, რომ მათი გამოსწორების ღონისძიებები სასარგებლოც იქნება და აუცილებელიც.

მონაზონი: დიას! ჩვენს დროში, როდესაც საერო განსწავლულობა სწრაფად ვრცელდება, როდესაც სამოქალაქო ცხოვრება გამოეყო საეკლესიოს, როდესაც დასავლეთიდან უამრავი, ეკლესიისათვის მტრული სწავლება შემოიჭრა, როდესაც რელიგია და ზნეობა ყველა ფენაში შესამჩნევად ეცემა, მონასტრების მოწესრიგება ორი მიზეზით არის აუცი-

ლებელი: ჯერ ერთი, იმისათვის, რათა შენარჩუნებულ იქნეს თვითონ მონაზვნობა, არსებითად საჭირო და აუცილებელი ეკლესიისათვის; და მეორეც, ხალხის დასაცავად ცთუნებისაგან. ხალხი, რომელიც ბრკოლდება – სწორად და არასწორად – ამასობაში თვითონ სულ უფრო კარგავს რწმენას. მაგრამ აქ საჭიროა არა ზერელე, არამედ ზუსტი ცოდნა მონაზვნობისა, საჭიროა მონაზვნობის შესახებ წმიდა ეკლესიისა და წმიდა მამების განწესებათა საფუძვლიანი, გამოცდილებით მიღებული ცოდნა, ამ განწესებათა მნიშვნელობისა და სიწმინდის მთელი გულით შეგნება. მონაზვნობის გამოსწორებისათვის გატარებული ღონისძიებები მის შესახებ ზერელე წარმოდგენისაგან, ამა სოფლის სიბრძნის მყრალი საგანძურისაგან იღებს სათავეს და ყოველთვის ძალიან საზიანო იყო მონაზვნობისათვის.

ერისკაცი: ნიმუშად დაგვისახელეთ რომელიმე წმიდა მამის განწესებას მონაზვნობაზე, რათა წარმოდგენა შეგვექმნას ჩვენი მონასტრების საერთო მდგომარეობის გამოსწორებისათვის აუცილებელ ღონისძიებებზე.

მონაზონი: მე გთავაზობთ ყურადღება მიაქციოთ ღირსი ნილოს სორელის გადმოცემას ანუ წესდებას. ნილოს სორელი ჩვენი თანამემამულე იყო, მე-15 საუკუნეში ცხოვრობდა და, შესაძლებელია, უკანასკნელი წმიდა მამა იყო მათ შორის, ვინც მონაზვნობაზე წერდა. ეს თხზულება, მისი სიმოკლეს მიუხედავად, სრულად გადმოგვეცემს საკითხის არსს. ღირსი ნილოსი მონაზვნად შედგა და მონაზონი იყო იმისათვის, რათა საკუთარ თავზე გამოეცადა წმიდა მამების მიერ გადმოცემული სულიერი მონაზვნური ღვაწლის მოქმედება.

მამათა გადმოცემის უფრო ახლოს გასაცნობად იგი აღმოსავლეთში გაემგზავრა, კარგა ხანს ათონის მთაზე ცხოვრობდა, გრიგოლ სინელისა და გრიგოლ პალამას მოწაფეებს ესაუბრებოდა, ურთიერთობა ჰქონდა აგრეთვე კონსტანტინეპოლის შემოგარენში მოღვაწე მონაზვნებთან. რუსეთში დაბრუნების შემდეგ ნილოს სორელი ულრან ტყეში, მღ. სორზე დაბინავდა და გახდა სკიტური ცხოვრების ფუძემდებელი რუსეთში. ზემოხსენებული გადმოცემა მან თავისი სკიტესათვის დაწერა. ღირსი ნილოსის თხზულება ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია იმიტაც, რომ იგი ყველაზე უფრო შესაფერისია თანამედროვე მონაზვნებისათვის, რომლებიც, სული წმიდით შემოსილი მამების შემცირების გამო, ძველი მონაზვნების მსგავს უსიტყვო მორჩილებას ვერ იტვირთავენ. ღირსი ნილოსი სულიერი მოძღვრის უსიტყვო მორჩილების ნაცვლად დღევანდელ მონაზონს სახელმძღვანელოდ სთავაზობს წმიდა წერილს და წმიდა მამათა ნაწერებს, ამასთან ურჩევს, წარმატებული ძმების რჩევა-დარიგებები გაითვალისწინოს და სიფრთხილით შეადაროს იგი წმიდა წერილს. რაკი კარგად ჰქონდა შესწავლილი ჭეშმარიტი მონაზვნური ღვაწლი, ღირსი ნილოსი სიმდაბლით გამოთქვამდა თავის აზრს სწორი მონაზვნური მიმართულებიდან გადახრის გამო, რაც მაშინდელმა რუსულმა მონაზვნობამ თავისი გულუბრყვილობისა და უმეცრების გამო დაუშვა, მაგრამ ღირსი მამის ეს აზრი ყურად არავინ იღო. გადახრა ჩვეულებად იქცა, საყოველთაოდ გავრცელდა და დიდი ძალა შეიძინა. ეს გახდა სწორედ მე-18 საუკუნეში მონასტრების

შერყევის მიზეზი. გადახრა დიდი ქონების მოხვეჭისადმი სწრაფვაში მდგომარეობდა.

ერისკაცი: რა არის ღირსი ნილოსის თხზულებაში განსაკუთრებით სასარგებლო თანამედროვე მონაზონთათვის?

მონაზონი: პირველ ყოვლისა, საოცრად ჭკუისსასწავლებელია მისი მაგალითი. წმიდა წერილი და წმიდა მამათა ნაწერები ღირსმა ნილოსმა მხოლოდ წიგნებით კი არა, საკუთარი გამოცდილებით შეისწავლა. ამითაც არ დაკმაყოფილდა და მოისურვა ათონისა და ბიზანტიის წმიდა მონაზონთა მოღვაწეობას გასცნობოდა, რათა მათი რჩევებისა და ცხოვრების წესის მიხედვით შეევესო თავისი ცოდნა. და მიუხედავად განსაკუთრებული სულიერი წარმატებისა, იგი თავის თავს არ მიიჩნევდა მაღალ საზომს მიწვევულ ბერად და არც მოყვასის მასწავლებლობას ეშურებოდა. მას დიდხანს სთხოვდნენ, არ ეთქვა უარი ძმებისათვის სულის სარგებელ რჩევა-ღარიგებების მიცემაზე, მაგრამ ამაოდ; ბოლოს დათანხმდა და იტვირთა მოძღვრისა და წინამძღვრის წოდება, როგორც მასზე დაკისრებული მორჩილება. ღირსი ნილოსის ამ საქციელიდან აშკარაა, რომ მონასტრების დაარსების, განმტკიცებისა და გამოსწორებისათვის აუცილებელია, რათა მათ სათავეში ღირსეული მამები იდგნენ: წმიდა წერილსა და წმიდა მამათა ნაწერებში განსწავლულნი, მათი ნათლით განათლებულნი, ცოცხალი ცოდნით აღჭურვილნი, ღმრთის მაღლით შემოსილნი. ღმერთს უნდა ვეკედროთ, რომ ამგვარი მამები მოგვივლინოს, რამეთუ მონაზონთა წმიდა კანონების ჯეროვნად შესრულება მხოლოდ იმ მონაზვნებს შეუძლიათ, ვინც კარგად იცის თვით არსი მონაზვნო-

ბისა და მისი წესები საკუთარი გამოცდილებით აქვს შესწავლილი. ღირსი კასიანე ამბობს, რომ ეგვიპტის მონასტრებში, მონაზვნობის ამ უპირველეს სავანებში, წინამძღვრობა მხოლოდ იმ მონაზვნებს ეკისრებოდათ, რომლებიც თვითონ იყვნენ ვინმეს მორჩილებაში და გამოცდილებით ჰქონდათ შესწავლილი მამათა გადმოცემები.

პირველი ადგილი ყველა იმ კანონს შორის, რასაც ღირსი ნილოსი გვთავაზობს, ეკუთვნის ზემოხსენებულ წესს წმიდა წერილით და წმიდა მამათა ნაწერებით ხელმძღვანელობის შესახებ. წმიდა იოანე კიბისალმწერელი ამბობს: „მონაზონი იგი არს, რომელი ღმრთისასა ოდენ იქმოდეს და ხედვიდეს ყოველსა შინა ჟამსა, ადგილსა და საქმესა“ (I, 10). ამ წესით სარგებლობდა ღირსი ნილოსი და თავის მოწაფეებსაც ამასვე ასწავლიდა. აი, რას ამბობს იგი: „ჩვენ გადავწყვიტეთ, რაკი ასეთია ნება ღმრთისა, მივიღოთ ჩვენთან მოსულები, — მაგრამ მივიღოთ იმისათვის, რომ მათ დაიცვან წმიდა მამათა გადმოცემები და ღმრთის მცნებები, და არა იმისათვის, რომ თავი იმართლონ და ცოდვის მიზეზები გამოიგონონ ამ სიტყვების მოშველიებით: „დღეს შეუძლებელია წმიდა წერილის მიხედვით ცხოვრება და წმიდა მამათა მიბაძვა“. არა! მართალია, უძლურები ვართ, მაგრამ ჩვენი ძალების კვალობაზე უნდა მივემსგავსოთ და მივბაძოთ ჩვენს ნეტარხსენებულ და ნეტარ ძმებს, თუნდაც მათი საზომის მიღწევა ჩვენთვის შეუძლებელი იყოს“. რუსეთის მონაზვნობის დღევანდელი მდგომარეობის მცოდნე მთელი გულითა და სულით დამემოწმება, რომ სულიერ და ზნეობრივ აყვავებას მხოლოდ ის მონასტრები აღწევენ, რომლებშიც წმიდა მამა-

თა ნაწერების კითხვაა მიღებული და მხოლოდ ამ საკვებით აღზრდილი და ნასაზრდოები მონაზვნები ატარებენ ღირსეულად მონაზვნის სახელს. ღირსი ნილოსი არასოდეს არავის აძლევდა რჩევა-დარიგებას „თავით თვისით“, არამედ შემკითხველს ან წმიდა წერილიდან, ან წმიდა მამათა ნაწერებიდან პასუხობდა. ხოლო თუ ღირსი მამა თავის მეხსიერებაში ვერ იპოვიდა პასუხს ამა თუ იმ კითხვაზე, მაშინ პასუხს გადადებდა ხოლმე იქამდე, სანამ წმიდა წერილში მიაგნებდა შესაფერ დარიგებას. ეს მეთოდი თვალსაჩინოა წმიდა მღვდელმოწამე პეტრე დამასკელის, ღირსი გრიგოლ სინელის, წმიდა ქსანთოპულოებისა და სხვა მამების ნაწერებში. ამავე მეთოდს იყენებდნენ ჩვენს მიერ ნახსენები ოპტას უდაბნოს ბერები ლეონიდე და მაკარი. მათი მეხსიერება უხვად იყო შემკული წმიდა მამათა აზრებით; ისინი არასოდეს იძლეოდნენ პასუხებს „თავით თვისით“, არამედ წმიდა წერილს ან წმიდა მამებს იმოწმებდნენ. ამ ბერების სიტყვას სხვა ძალა ეძლეოდა: ისინი, ვინც მზად იყვნენ შეპასუხებოდნენ კაცის მიერ გამოთქმულ აზრს, მოწიწებით ისმენდნენ უფლის სიტყვას და საკუთარ სიბრძნეს მას უმორჩილებდნენ. ასეთი მოქმედება უდიდეს სიმდაბლეში ამყოფებს თვით რჩევის მიმცემსაც: იგი საკუთარს კი არა, ღმერთისას გაცემს; ხდება წმიდა ჭეშმარიტების მოწმე, იარაღი, და მისივე სინდისი უსვამს კითხვას: ღირსეულად ემსახურება კი უფალს? „წმიდა წერილი და წმიდა მამათა ნაწერები ზღვის ქვიშასავით უთვალავია, ჩვენ დაუზარებლად ვსწავლობთ მათ და ამ ცოდნას ჩვენთან რჩევისათვის მოსულ ადამიანებსაც გადავცემთ. უფრო სწორად, ჩვენ კი არა, — ჩვენ ამის

რა ღირსნი ვართ, — არამედ ნეტარი მამები“, წერს ღირსი ნილოსი. ქრისტიანობის ბოლო საუკუნეების ყველა წმიდა ასკეტი მწერალი ამტკიცებს, რომ სული წმიდით შემოსილი მამების შემცირების გამო წმიდა წერილის, უფრო კი ახალი აღთქმისა და წმიდა მამათა ნაწერების შესწავლა, განუზრეული და გულმოდგინე ხელმძღვანელობა ამ ნაწერებით საკუთარ ცხოვრებაშიც და მოყვასის სწავლების დროსაც სულიერი წარმატების ერთადერთი გზაა, ღმერთის მიერ ბოლო დროის მონაზვნებისათვის ბოძებული. ღირსი ნილოსი უარს ეუბნებოდა მასთან ერთად ცხოვრებაზე იმ ძმებს, რომლებიც არ მოისურვებდნენ ამ კანონის მიხედვით ცხოვრებას, — აი, რამდენად მნიშვნელოვანი და არსებითია იგი!

ღირსი ნილოსის მიერ შემოთავაზებული მეორე ზნეობრივი კანონი არის ცოდვების ყოველდღიური აღიარება ბერის (სტარეცის) წინაშე — ბერს მონასტრებში სულიერ ცხოვრებაში წარმატებულ მონაზონს უწოდებენ, რომელსაც ძმების სწავლება ევალება: მონასტრის წევრებმა თუნდაც სულ მცირე ცოდვები, გულისსიტყვები და ცოდვილი განცდებიც უნდა აღიარონ, რათა ყოველგვარი შინაგანი გაურკვეველობა ბერს მიანდონ განსახილველად. ეს საქმე საოცარი სულიერი სარგებლობის მომტანია: არც ერთი ღვაწლი არ შეეწევა ასე ძლიერ ვნებების მოკვდინებას. ვნებები გაურბიან ადამიანს, ვინც დაუნდობლად აღიარებს მათ. ხორციელი გულისთქმები უფრო მეტად ჭკნება აღსარებით, ვიდრე მარხვითა და მღვიძარებით. ის მონაზვნები, რომლებიც თავიდანვე შეეჩვივნენ ცოდვების ყოველდღიურ აღიარებას, ცდილობენ სრულ ასაკშიც რაც შეიძლება ხშირად მიმარ-

თონ ამ კურნებას, რადგან გამოცდილებით იციან, თუ რა თავისუფლება მოაქვს მას სულისათვის. ამ მოღვაწეობის საშუალებით ისინი ზუსტად და დაწვრილებით, საკუთარ მაგალითზე სწავლობენ კაცის დაცემას; ხოლო მას შემდეგ, რაც ცოდვების აღიარების გზით თავს განიკურნავენ, იძენენ ცოდნას, თუ როგორ დაეხმარონ მოყვასს სულიერ განსაცდელში. ოპტას უდაბნოს მამებს მრავალი მოწაფე ჰყავდათ, რომლებიც ყოველდღე, საღამოს ლოცვის შემდეგ, მათ წინაშე თავიანთ გულისსიტყვებს აღიარებდნენ. ეს მოწაფეები ძალიან განსხვავდებოდნენ თავიანთ ნებაზე მცხოვრები ძმებისგან. მომავალ აღსარებაზე ფიქრი თითქოს ერთგვარ მცველად უდგებოდა მათ საქციელს, ისინი თანდათან ეჩვეოდნენ საკუთარი სულისათვის თვალყურის დევნებას, ხოლო თვითონ ყოველდღიური აღსარება ხელს უწყობდა მათ ყოფილიყვნენ საკუთარ თავთან განმარტოებულნი, მუდმივად წმიდა წერილზე ფიქრში ჩაფლულნი, ასე ვთქვათ, მოწესრიგებული მონაზვნები. ყოველდღიური აღსარება, ანუ გულისსიტყვების ყოველდღიური გამხელა და სინდისის შემოწმება არის ძველისძველი მონაზვნური საქმე. ეს იყო საყოველთაოდ გავრცელებული წესი ძველ მონაზვნობაში, რაც სრულიად ნათლად ჩანს ღირსი კასიანე რომაელის, იოანე კიბისაღმწერელის, ბარსანაბოს დიდის, აბა ესაიას, აბა დოროთეს, მოკლედ, ყველა იმ წმიდა მამის ნაწერებიდან, ვინც მონაზვნობაზე წერდა, და იგი, როგორც ჩანს, თვით მოციქულებმა შემოიღეს (იაკ. 5, 16). აქ გადმოცემული ორი ზნეობრივი წესის მიხედვით აღზრდილი მონაზვნები შეიძლება შევადაროთ ცოცხალ, თვალხილულ ადამიანებს, ხოლო ამ აღზრდას

მოკლებულნი – ბრმებსა და მკვდრებს. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რომელ მონასტერშიც არ უნდა შეიტანონ ეს ორი წესი, იქ უსათუოდ უმჯობესდება ძმობის სულიერი და ზნეობრივი მდგომარეობა, ისე რომ გარეგნულად არაფერი იცვლება. მეორე წესის ცხოვრებაში განსახორციელებლად აუცილებელია სულიერ ცხოვრებაში გამოცდილი, ამ წესით აღზრდილი მონაზონი. აქ გამოცდილებით შექმნილი ცოდნა სრულიად გარდაუვალი საჭიროებაა. ღირსი კასიანე რომაელი ამბობს: „სასარგებლოა გულისსიტყვების აღიარება ძმების წინაშე, მაგრამ არა ნებისმიერის, არამედ სულიერი, განსჯის უნარის მქონე ბერების წინაშე, ვისაც მარტო ასაკისა და ჭაღარის გამო არ ეწოდება ეს სახელი. მრავალი, ვინც მოხუცებულობის გარეგნული ნიშნებით მოიხიბლა და აღიარა მის წინაშე თავისი გულისსიტყვები, კურნების ნაცვლად ზიანი მიიღო აღსარების მსმენელის გამოუცდელულობის გამო“.

ერისკაცი: ვხედავ, რომ მონასტრების ზნეობრივი კეთილმოწყობის უმთავრესი პირობები მიმითითეთ. ნუ მეტყვით უარს და წმიდა მამათა სხვა გადმოცემებსა და წესებზეც მესაუბრეთ, რომლებიც მონასტრებს შესაფერისი მდგომარეობის მოპოვებაში დაეხმარებოდა.

მონაზონი: ადამიანი გარეგანი შთაბეჭდილებების საფუძველზე ყალიბდება, ეს შთაბეჭდილებები ქმნიან ადამიანს. ჩასწვლენ რა ამ საიდუმლოს თავიანთი წმიდა გონებით, წმიდა მამებმა ისეთი შთაბეჭდილებებით სავსე გარემო შეუქმნეს მონაზონს, რომლებიც ერთობლივი ძალებითა და მოქმედებით ერთ, წმიდა მიზანს ემსახურებიან და პირიქით, მო-

არიდეს თუნდაც გარეგნულად კეთილი, მაგრამ ამ მიზანს დაშორებული შთაბეჭდილებები. ნათქვამის განსამარტებლად კვლავ ღირსი ნილოსის ძვირფას წიგნს მივუბრუნდეთ. იგი ამბობს, რომ უფლის ტაძარი მონასტერში ძალიან უბრალო უნდა იყოს. ამაში ღირსი ნილოსი პახომი დიდს ეყრდნობა: წმიდა მამას არ სურდა, რომ მის მონასტერში ეკლესია ხუროთმოძღვრული ზედმეტობებით ყოფილიყო გადატვირთული. პახომი დიდი ამას იმიტომ აკეთებდა, რომ მონაზვნის გონება კაცთაგან ხუროთმოძღვრების მშვენიერების ქებით არ დაბრკოლებულიყო და ამ გზით ეშმაკის მახეში არ გაბმულიყო, რამეთუ ბოროტის მზაკვრობანი მრავალგვარია.

ღირსი ნილოსი ამბობს, რომ სენაკები და მონასტრის სხვა ნაგებობები სულ უბრალო, შემკობისაგან თავისუფალი უნდა იყოს. იოანე წინასწარმეტყველმა, ღაზის მონასტერში მოღვაწე დიდმა მამამ, სიკვდილის წინ ძალიან სასარგებლო დარიგება დაუტოვა მის მიერ ახლად დადგინებულ ილუმენს, თავის სულიერ შვილს. სხვათა შორის, ისიც დაუბარა, სენაკები ზედმეტად კეთილმოწყობილი არ ყოფილიყო და მხოლოდ აუცილებელი ნივთები ჰქონოდათ, ისიც გარკვეული შეზღუდვით, თითქოს იქ მცხოვრები გადასახლებას მოელოდეს: ამქვეყნიური სამყოფელი ხომ მარადისობასთან შედარებით კარავს წააგავს.

ღირსი ნილოსი ძველი წმიდა მამების სწავლებისა და მათი ქცევის საფუძველზე ბრძანებს, რომ საეკლესიო შესამოსელი და სხვა ნივთები რაც შეიძლება უბრალო, იაფი და მცირერიცხოვანი იყოს. ასევე უბრალო და ზედმეტობებისგან თავისუფალი უნდა იყოს ეკლესიის მთელი ქონება —

მხოლოდ აუცილებელი საგნები დარჩეს, რათა მონაზვნებში ცუდმედიდობა არ აღიძრას, რათა ისინი ამ საგნებს არ მიეჯაჭვონ და მათზე განსაკუთრებული ზრუნვა არ დაიწყონ: მონაზვნის სულიერი ძალები მთლიანად ღმერთისკენ უნდა იყოს მიმართული.

ღირსმა ნილოსმა აუკრძალა ქალებს თავის სკიტეში შესვლა. ძველად ქალებს აკრძალული ჰქონდათ შესვლა მამათა ყველა მონასტერში, ეს წესი ათონზე ამჟამადაც დაცულია: ძალიან მნიშვნელოვანი წესია მათთვის, ვისაც საკუთარი დაცემული ბუნების დაძლევა სურს. აუცილებელია საცთურის მიზეზის მოშორება, სხვაგვარად შეუძლებელია სიმტკიცის შენარჩუნება. ზნეობის დღევანდელი დაცემის პირობებში ამ წესის საჭიროება მით უმეტეს თვალსაჩინოა.

რუსეთში მეტად მნიშვნელოვანია ღვინის აკრძალვა მონასტრებში. ეს კარგად ესმოდათ კეთილგონიერ და ღმრთისმოსავ წინამძღვრებს, მაგალითად, კირილო-ნოვოზერსკის მონასტრის ილუმენ თეოფანეს. იგი განსაკუთრებული გულმოდგინებით ებრძოდა ღვინის სმას თავის მონასტერში, მაგრამ ამაოდ. და ასეთი ამაო იქნება ნებისმიერი მცდელობა, თუ წმიდა მამათა კანონები მონასტრების შესახებ სრულად არ იქნა აღდგენილი.

ღირსმა ნილოსმა, მას შემდეგ, რაც მონაზვნობა თავის აკვანში — აღმოსავლეთში შეისწავლა და რუსეთში დაბრუნდა, საცხოვრებლად დაუსახლებელი ადგილი აირჩია. იგი კმაყოფილი იყო თავისი არჩევანით და ამის მიზეზს ერთ-ერთ წერილში ასე ხსნის: „მადლობა ღმერთს, ვნახე ჩემთვის სასურველი ადგილი, სადაც ერისკაცები ნაკლებად და-

დიან“. ისევ ღირსი ნილოსის სილოგიზმი გამოვიყენოთ და ვთქვათ: „თუ ასეთი წმიდა კაცისთვის მის მიერ შერჩეული ადგილი იმით იყო სასურველი, რომ ერისკაცები ნაკლებად დადიოდნენ, მაშინ ჩვენ, ნებითა და გონებით უძლურებმა, ყოველი ცოდვისაგან ადვილად მოწყვლადებმა, მით უმეტეს უნდა მივაშუროთ კაცთა სამოსახლოსაგან დაშორებულ ადგილებს, სადაც ერისკაცთა და მათთან ერთად საცთურთა მოზღვავენას ავირიდებთ თავიდან“.

ღირს ნილოსს სურდა, რომ მისი მონასტრის მონაზვნებს საკუთარი შრომით ეცხოვრათ, ხოლო თუ ერისკაცთა შესაწირავის მიღება აუცილებელი გახდებოდა, რაც შეიძლება მცირე შესაწირავი ეთხოვათ.

აი, ეს არის ეკლესიის მიერ აღიარებული წესები, რომლებიც წმიდა მამებმა მონაზვნებს მისცეს. სხვა, უფრო წვრილმანებთან დაკავშირებული წესები იმავე ხასიათისაა და იმავე მიზნებს ისახავს.

ერისკაცი: თქვენს მიერ ჩამოთვლილი წესებიდან ბევრი მონასტერი ცოტად თუ ბევრად არის გადახრილი. ეს გადახრები ოდესმე უნდა გამოსწორდეს. ჩვენი დროის სულისკვეთება და განსწავლულობა, როგორც ვიცით, მოითხოვს, რომ გამოსწორება დაუყოვნებლივ დაიწყოს. ამაზე საზოგადოებაშიც საუბრობენ. კარგი იქნებოდა, უმეცარ ხმებს შორის ჭეშმარიტი ცოდნის მქონე ადამიანების ხმაც გარეულიყო. ნუ გვეტყვიან უარს და გაგვანდეთ თქვენი აზრი იმის თაობაზე, თუ რა არის საჭირო მონასტრებში სათანადო მდგომარეობის აღსადგენად.

მონაზონი: ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან ძნელია, თუმცა მე მასზე თითქმის უკვე გიპასუხეთ. მასხენდება მაცხოვარის სიტყვები იმ ყანაზე, სადაც კეთილი თესლი დათესეს, მაგრამ ჯეჯილის აღმოცენების შემდეგ სარეველაც ბევრი გაჩნდა. ადამიანებმა კი არა, ანგელოზებმა შესთავაზეს უფალს სარეველის აღმოფხვრა, მაგრამ უფალმა მიუგო მათ: „არა, ნუუკუე შეკრებასა ღვარძლისასა აღმოჰფხურათ იფქლიცა. აცადეთ იგი თანა-აღორძინებად ურთიერთას ვიდრე ჟამადმდე მკისა“ (მათ. 13, 24-30). მე ვფიქრობ, ეს საუკეთესო მიდგომაა მონასტრების მიმართაც; ყოველ შემთხვევაში, ამ მიდგომას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუეთმოს. მშენებლები სიფრთხილით ეკიდებიან ძველი შენობის შეკეთებას. კეთილგონიერი ექიმები უარს ამბობენ ჩაკირული, სხეულთან შეზრდილი სნეულებების კურნებაზე — სწორედ იმიტომ, რომ მათთვის ხელის ხლება სიცოცხლისათვის საშიშია. მონაზვნები და მონაზვნობა სული წმიდამ დააწესა მის რჩეულ ჭურჭელთა — წმიდა მამათა მეშვეობით. მონასტრების აღდგენა უწინდელი სახით, თუკი ეს ღმერთმა ინება, მხოლოდ ღმრთის განსაკუთრებული მადლის მოქმედებით არის შესაძლებელი ასეთივე ღირსეული იარაღების მეშვეობით. მაგრამ ჩემი ნათქვამიდან აშკარაა ერთი რამ: მონასტრების აღდგენა-გამოსწორება შეუძლებელია ერისკაცთა საქმე იყოს; ერისკაცთა მხრივ სწორი და ღმრთისმოსავი საქციელი ის იქნება, თუკი ამ საქმეს იმათ დაანებებენ, ვისაც იგი ღმრთის განგებამ დააკისრა და ვისაც მოეთხოვება კიდევაც პასუხი ამისათვის ღმრთის სამსჯავროზე.

ჩემს წმიდა მოვალეობად მივიჩნევ გადმოგცეთ ერთი ბრძნული რჩევა, გამოცდილი, პატივსაცემი მამებისგან რომ გამიგონია. ერისკაცებსაც და მონაზვნებსაც, ვინც გულწრფელად ეძიებდა ცხონებას, ისინი ეუბნებოდნენ: „ჩვენს დროში, როდესაც ასე მომრავლდა საცთური, განსაკუთრებით საჭიროა საკუთარი სულის დაცვა, ისე რომ ყურადღება არ მივაქციოთ მოყვასის ცხოვრებასა და საქმეებს და არ განვიკითხოთ ცთუნებებს აყოლილნი, რამეთუ საცთურის განმხრწნელი მოქმედება გადამდებია და იოლად შეიძლება დაავადდეს თვითონ განმკითხველი“. წმიდა მამები ერისკაცებს ურჩევდნენ ეხელმძღვანელათ წმიდა სახარებით და იმ წმიდა მამათა ნაწერებით, რომლებიც ზოგადად ყველა ქრისტიანს აძლევდნენ რჩევა-დარიგებებს, მონაზვნებს კი ურჩევდნენ ასევე წმიდა სახარებასა და იმ წმიდა მამებზე დაყრდნობას, რომლებიც კერძოდ მონაზვნებისათვის წერდნენ. მამათა თხზულებებით ვინც ხელმძღვანელობს, ის ყველა მონასტერში შეძლებს ცხონების მოპოვებას, ხოლო საკუთარ ნებასა და გონებას მინდობილი, რაც არ უნდა განმარტოვდეს, მაინც ვერ ცხონდება.

„კაჲ სოფლისა ამის საცთურთა მათგან“ (მათ. 18, 7), თქვა უფალმა; „და განმრავლებითა უსჯულოებისათა განხმეს სიყვარული მრავალთაჲ“ (მათ. 24, 12). საცთურთა მოსვლა შედის ჩვენთვის მიუწვდომელ ღმრთის განგებაში: „რამეთუ უნებლიათცა მომავალ არიან საცთურნი“ (მათ. 18, 7), თქვა უფალმა. ადამიანს გამოსხნის შემდეგ თავისუფლება აქვს მიცემული სიკეთისა და ბოროტების არჩევაში — ისევე როგორც შექმნის შემდეგ ჰქონდა მინიჭებული. მაგრამ ადამიან-

ნი, ისევე როგორც შესაქმის შემდეგ, გამოსხნის შემდეგაც მეტწილად ბოროტებას ირჩევს. სამოთხის შუაგულში აღმოცენდა ბოროტება, რომელიც, კაცის უფრო ადვილად საცთუნებლად, სიკეთის საფარველში იყო გახვეული. ბოროტება დღესაც ათასგვარი საცთურის მომხიბლავი გარეგნობით შენიღბული გვევლინება წმიდა ეკლესიის წიაღში, თანაც ამ საცთურებს უწყინარ გართობასა და მხიარულებას უწოდებს, ხორციელი ცხოვრების აღზევებასა და სული წმიდის შეურაცხყოფას კი — კაცობრიობის განვითარებასა და წარმატებას. „კაცნი“ იქნებიან „განხრწნილნი გონებითა“ (2 ტიმ. 3,8), რამეთუ „სათნო-ეყვნეს სიცრუესა შინა“ (2 თეს. 2, 12), „გამოუცდელნი სარწმუნოებითა, აქუნდეს ხატი ღმრთის მსახურებისაჲ და ძალსა მისსა უარ-ჰყოფდენ“ (2 ტიმ. 3, 8, 5). მათთვის, ვინც მიიღო ეს ძალა და მერე საკუთარი ნებით უარყო იგი, ძალიან ძნელია მისი დაბრუნება (ებრ. 10, 26), რადგან თვით ნების სწორი მიმართულება იკარგება, რაც უსათუოდ მოსდევს საღმრთო ნიჭის შეგნებულ უარყოფას. ღმრთისმსახურების გარეგნული სახე როგორღაც კიდევ შეიძლება შექმნას კაცობრივმა მცდელობამ, მაგრამ თვით „ძალი ღმრთისმსახურებისა“ მხოლოდ მას ძალუმს აღადგინოს, ვინც მაღლიდან მოუვლენს ადამიანებს ამ ძალას.

დაბერებული და გამოფიტული ხე ხშირად მწვანე ფოთლებით არის შემკული, მისი მსხვილი ღეროები ჯერ კიდევ ძლიერებისა და სიჯანსაღის შთაბეჭდილებას ქმნიან; მაგრამ შიგნიდან ეს ხე უკვე დამპალია, პირველივე ქარიშხალი ძირს დასცემს მას.

შენიშვნებისთვის



გერგეთი, წმიდა სამების მონასტერი